ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა

ავტორი: ეთო რუხაძე
საკონტაქტო მონაცემები:
ტელ.: +995 597 100045
ელ. ფოსტა: eto@kordzadzelawoffice.ge

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ზვიად კორძაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი

სამეცნიერო თანახელმძღვანელი:
ნინო ბოგვერაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019

აბრევიატურები

ე.ი. - ესე იგი.

ე.წ - ეგრეთ წოდებული.

რედ. - რედაქტორი.

სსკ- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

ed. – editor.

eds. – editors.

სარჩევი

I. შესავალი **4**

II. საექიმო შეცდომისა და მორალური ზიანის ცნება და მათი ურთიერთკავშირი **9**

1. საექიმო შეცდომის არსი და მისი თავისებურება 9

1.1. საექიმო შეცდომის ტერმინოლოგიური პრობლემატიკა 9

1.2. საექიმო შეცდომის არსი და მისი ძირითადი თავისებურებანი 10

1.3. საექიმო შეცდომის კლასიფიკაცია 16

1.4. პაციენტის სტატუსი და სამედიცინო პერსონალის განსაზღვრება საექიმო შეცდომასთან მიმართებით 18

2. მორალური ზიანის არსი და მისი ანაზღაურების კრიტერიუმები 21

2.1. მორალური ზიანის არსი 21

2.2. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი კრიტერიუმები 25

3. პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული მორალური ზიანის სპეციფიკა 29

III. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის მოთხოვნის არსი და საფუძვლები 33

1. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის მოთხოვნის საფუძვლების ზოგადი მიმოხილვა 33

2. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პაციენტის მიერ 37

3. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პაციენტის გარდაცვალებისას 40

3.1 პაციენტის გარდაცვალებისას მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სავარაუდო სუბიექტები 53

4. საექიმო შეცდომის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა 56

4.1. კომპენსაციის მიზანი 56

4.2. კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმები საექიმო შეცდომისას 60

5. მტკიცების ტვირთის გადანაწილება საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისას 66

IV. დასკვნა 77

ბიბლიოგრაფია 83

I. შესავალი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხებს. ნაშრომის შესავალ ნაწილში მითითებულია საკითხის აქტუალურობაზე, ასევე, კვლევის ფარგლები, კვლევის მეთოდები და სტრუქტურა.

საკითხის აქტუალურობა

მოქმედებას თუ უმოქმედობას, რომელიც ცვლილებას იწვევს ობიექტურ სამყაროში, გამოიხატება პიროვნების კეთილდღეობის შემცირებასა თუ განადგურებაში, ქონებრივი თუ არაქონებრივი ხასიათის გარკვეულ უარყოფით შედეგებში, ლოგიკურად უნდა მოჰყვეს მათი აღდგენა.[1]

ჯანდაცვის სისტემის ხარისხის განსაზღვრისას პაციენტის უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია და ნებისმიერი სახის ზიანი შეუთავსებელია გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტთა ინტერესების დაცვას მაქსიმალური ყურადღება ეთმობა გამართული ჯანდაცვის სისტემებში, ყოველთვის არ არის დაცული საჭირო პროცედურები და იკვეთება სამედიცინო შეცდომებისა და ინციდენტების მრავალი შემთხვევა.[2]

დღესდღეობით საექიმო შეცდომა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა საკითხებთან ერთად ხშირად განხილვადი თემაა მისი აქტუალობიდან გამომდინარე.[3] საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის რაოდენობა წარმოადგენს მათი განხილვის მნიშვნელობის იდენტიფიკატორს,[4] რადგან სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიუხედავად საექიმო შეცდომების სიხშირე თანდათან ზრდადი ხდება.[5] საექიმო შეცდომებთან დაკავშირებული დაზიანებები და სიკვდილის შემთხვევები ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, იმ თვალსაზრისით, რომ ზრდის ეკონომიკურ ხარჯებს

---

[1] *გარაგაძე ნ.,* მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2005, 67.

[2] *Sharbafchi-Zadeh N., Karimi S., Taleghani Y. M., Vejdani M.,* Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017, 606.

[3] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 181.

[4] *Corbett A.,* Regulating Compensation or Injuries Associated with Medical Error, Sydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006, 268.

[5] *Outerbridge T.,* Building Systemic Models for Medical Error Reporting, Health Law Journal, Vol. 12, 2004, 277.

და საზოგადოებაში ამცირებს სისტემისადმი ნდობას.[6] მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, ინფორმაციის დეფიციტი პრობლემურია, როგორც პაციენტების, ასევე, მათი ახლობლებისათვის, რადგან საზოგადოება საექიმო შეცდომების შესახებ მხოლოდ მედიასაშუალებებით იღებს ინფორმაციას, რაც ხშირად ვერ ამოწურავს საკითხისადმი არსებულ ინტერესს.[7]

დელიქტით მიყენებული, ასევე, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსირების შესაძლებლობა ტრადიციულად არსებობს,[8] რასაც განამტკიცებს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა.[9] თუმცა საკმაოდ პრობლემურია საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხები, რადგან იკვეთება, როგორც კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის პრობლემურობა, ისე კომპენსაციის დაკისრების დასაბუთებულობის საეჭვოობა.

ამასთან, ქართულ რეალობაში არსებობდა სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც ბოლო პერიოდში მორალური ზიანისათვის კომპენსირების შემთხვევების შემცირებისაკენ არის მიმართული, რითაც ცალსახად იზღუდება დაზარალებულთა ზიანის ანაზღაურების უფლება. სწორედ ამ თვალსაზრისითაა საყურადღებო, საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება და მისი მიმართება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებასთან, რაც განსხვავებულად რეგულირდება კანონმდებლობით. აღნიშნული საკითხი, განსხვავებულადაა გადაწყვეტილი სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც, რაც არათანაბარზომიერ მდგომარეობაში აყენებს დაზარალებულებს. ამასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და გარდაცვლილი პირის ცოცხლად დარჩენილი ნათესავის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების არარსებობის ფაქტის მიმართება ევროპულ სტანდარტებთან.

---

[6] *Weinberg K. J.,* Medical Error and Patient Safety: Understanding Cultures in Conflict, Law & Policy, Vol. 24, Issue 2, 2002, 93.

[7] Patients' Rights in the European Union Mapping eXercise, Final Report, 2016, 81, <https://ec.europa.eu/health/sites/health/files/cross_border_care/docs/2018_mapping_patientsrights_frep_en.pdf> [31.05.2019].

[8] *Andoh B.,* Damages for Non-pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 183.

[9] *Richardson L.,* Uneasy on the Eye: Determining the Basis for Contractual Damages including Non-Pecuniary Loss, The Edinburgh Law Review, Vol. 22, Issue 2, 2018, 294.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საექიმო შეცდომებზე რეაგირების მკაფიო მექანიზმების შექმნა და დაზარალებულითათვის ხელყოფილი სიკეთის სრულად კომპენსირების სტიმულირება.

კვლევის ფარგლები

ნაშრომში განხილულია სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ საექიმო შეცდომის დაშვების შედეგად დაზარალებულისათვის ზიანის მიყენების საკითხები.

საექიმო შეცდომის შედეგად ზიანის მიმყენებლისათვის შესაძლოა დადგეს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კვლევის ფარგლებში განხილული იქნება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები.

მატერიალური და არამატერიალური ზიანი სამოქალაქო ზიანის ორი ძირითადი ტიპია.[10] სამოქალაქოსამართებრივი პასუხისმგელობა მოიცავს მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის პასუხისმგებლობას. საექიმო შეცდომის შედეგად დაზარალებული ხშირად ორივე მათგანს იღებს. კვლევის ფარგლების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მიყენებული ზიანის კონკრეტიზაცია. უფრო ზუსტად, საკითხის მოცულობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი შეიცავს მხოლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების პერსპექტივებსა და პრობლემებს.

კვლევის საკითხი უკავშირდება სამედიცინო მეცნიერების საკითხებს, რაც გაანალიზებულია მათი იურიდიულ ბუნებასთან კავშირში და გამოკვეთილია მხოლოდ რელევანტური ასპექტები, რათა არ მოხდეს საკითხთა მხოლოდ სამედიცინო მიმართულებით განხილვა. ამასთან, იურიდიული ბუნება გულისხმობს საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას, რაც იძლევა შესაძლებლობას სამედიცინო საკითხები განხილულ იქნეს იურიდიულ ჭრილში. ნაშრომის კვლევის საგანს არ წარმოადგენს საკითხთა სამედიცინო მეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში კვლევა, მაგრამ ნაშრომი იურიდიულთან ერთად მოიცავს კვლევის საგნის სამედიცინო ასპექტებს იმ მასშტაბით, რაც აუცილებელია კვლევის მიზნებისათვის. შესაბამისად, სამედიცინო მეცნიერების დეტალები იმგვარად განიხილება, რომ ნათლად წარმოჩინდეს კვლევის საკითხთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემატიკა.

[10] *Andoh B.,* Damages for Non-pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 181.

საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განხილულია, როგორც პაციენტის, ასევე, მისი ახლო ნათესავების მიერ, ასევე, წარმოჩენილია მოთხოვნის საფუძვლები და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობები. მოთხოვნის დაკმაყოფილების სირთულის გათვალისწინებით, ნაშრომში წარმოდგენილია საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსირების მიზნები და მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, რითაც დასტურდება ანაზღაურების მოთხოვნის რეალური საჭიროება შესაბამისი პრობლემური საკითხებით.

პრობლემის წარმოჩენის მიზნით ნაშრომში განხილულია მტკიცების ტვირთის გადანაწილების არსებული სტანდარტი და მხარეთა საპროცესო უფლებების რეალიზაციისას წარმოშობილი შესაძლო სირთულეები, იმ მასშტაბით რაც საჭიროა მოთხოვნის განხორციელების მიზნებისათვის.

კვლევის მეთოდი

ნაშრომში საექიმო შეცდომისა და მორალური ზიანის ურთიერთმიმართების თავისებურებების დასადგენად გამოყენებულია იურიდიული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მეთოდები - დოქტრინალური, ნორმატიული და სისტემური. ასევე, კვლევა მოიცავს შედარებითსამართლებრივი, სინთეზისა და ლოგიკურ მეთოდებს.

სამაგისტრო ნაშრომში პრობლემის წარმოჩენის პარალელურად გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, რაც დადებითად აისახება ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ასევე, წარმოჩენილია ქართული და უცხოური ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ნორმატიული ბაზის ანალიზი.

წინამდებარე კვლევა ინტერდისციპლინურია, რადგან მოიცავს საკითხის იურიდიულ მეცნიერების ფარგლებში კვლევას და საჭირო მასშტაბით სამედიცინო მეცნიერების საკითხების ანალიზს.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი დაყოფილია ოთხ ძირითად თავად, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად.

პირველი თავი მოიცავს შესავალს, სადაც განსაზღვრულია საკითხის აქტუალურობა, დაზუსტებულია კვლევის ფარგლები, მეთოდი და ნაშრომის სტრუქტურა.

მეორე თავი ეთმობა საექიმო შეცდომისა და მორალური ზიანის ცნებების არსის წარმოჩენას მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, რაც შემდგომში დეტალური ანალიზის საფუძველია.

მესამე თავში გაანალიზებულია საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის მოთხოვნის არსი და საფუძვლები. რეგულაციის განსხვავებული მიდგომის გათვალისწინებით, მესამე თავი დაყოფილია პაციენტის მოთხოვნისა და მისი ახლობლების მიერ მოთხოვნის დასაბუთებულობის კუთხით. ასევე, ცალკე ქვეთავად გამოყოფილია მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრინციპი.

მეოთხე თავში მოცემულია კვლევის ძირითადი მიგნებები, რომელიც წარმოდგენილია დასკვნის სახით.

II. საექიმო შეცდომისა და მორალური ზიანის ცნება და მათი ურთიერთკავშირი

1. საექიმო შეცდომის არსი და მისი თავისებურება

1.1. საექიმო შეცდომის ტერმინოლოგიური პრობლემატიკა

საყურადღებოა, რომ პრობლემურია საექიმო შეცდომის გამომხატველი ტერმინების მრავალფეროვნება, რადგან ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო, ეთიკური სტანდარტების და კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევის აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის შესახებ" საექიმო შეცდომის გამომხატველად იყენებს „მცდარი სამედიცინო ქმედების" ტერმინს, რაც გულისხმობს „ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოსტიკური და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა."[11]

საექიმო შეცდომის განსაზღვრის სირთულეს ამძაფრებს ისიც, რომ საექიმო შეცდომა ყოველთვის მოქცეულია მედიცინის ფარგლებში, რაც შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნასა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის უნარს მოითხოვს, შესაბამისად, კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მეტი შეფასება და ანალიზი სჭირდება სამედიცინო საკითხებსა და ფაქტებს, ვიდრე უშუალოდ ჯანდაცვის სისტემის ხარისხთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს.[12]

საექიმო შეცდომა წარმოადგენს ექიმის მიერ ჩადენილ არასწორ ქმედებას, რომელიც ეფუძნება მისი სამედიცინო მეცნიერებისა და მეთოდების არასრულყოფილებას, ავადმყოფობის არასაკმარის გამოხატულებას, ექიმის ცოდნისა და გამოცდილების არასაკმარისობას.[13] ამასთან, ხსენებული ქმედება წარმოადგენს პაციენტისათვის სერიოზული ზიანის მიყენების საფუძველს და საჭიროებს დამატებით მკურნალობასა და კვლევას. სწორედ ამ ტიპის შეცდომებია მიჩნეულია საექიმო შეცდომად, რაც შედეგობრივად აისახება პაციენტის ჯანმრთელობაზე ან უკიდურეს შემთხვევაში სიცოცხლეზე.[14] არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საექიმო შეცდომა წარმოადგენს მოტყუებას, თუმცა იურიდიული თვალსაზრისით გამართლებული იქნება, თუ

---

[11] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მე-3 მუხლის „ო" ქვეპუნქტი.

[12] *Weinberg K. J.,* Medical Error and Patient Safety: Understanding Cultures in Conflict, Law & Policy, Vol. 24, Issue 2, 2002, 99.

[13] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 42.

[14] *Weinberg K. J.,* Medical Error and Patient Safety: Understanding Cultures in Conflict, Law & Policy, Vol. 24, Issue 2, 2002, 98.

საექიმო შეცდომა განხილული იქნება, როგორც ექიმის გაუმართლებელი, არასწორი ქმედება და არა, როგორც მოტყუება.[15] თუმცა, საექიმო შეცდომის მოტყუებად განხილვა ავიწროებს მის შინაარსს, რაც პაციენტთა და მათ ახლობელთა დარღვეულ უფლებებზე უარყოფითად აისახება. ამასთან, მოტყუებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, განზრახვის ელემენტიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის განსხვავებული მეთოდია საჭირო.

მიუხედავად ტერმინთა მრავალფეროვნებისა, შეცდომა, რომელმაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოსტიკური ან/და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა, საექიმო შეცდომად უნდა იწოდებოდეს.[16] გაბატონებული მოსაზრებით, საექიმო შეცდომა არის ექიმის ინდივიდუალური გადაწყვეტილების ან ქმედების შედეგი და მას არ აქვს სისტემურ ხარვეზებთან კავშირი.[17]

1.2. საექიმო შეცდომის არსი და მისი ძირითადი თავისებურებანი

ისტორიულად, პაციენტები თავიანთ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ექიმებს ანდობენ, რომლებიც არ არიან საუკეთესო შედეგის გარანტორები, მაგრამ გააჩნიათ გარკვეული ვალდებულებები.[18] სწორედ ამიტომ საჭიროა საექიმო შეცდომის არსისა და მისი თავისებურებების სიღრმისეული ანალიზი.

თანამედროვე მედიცინაში გარკვეული ტიპის შეცდომები გარდაუვალია,[19] მაგრამ მართლწესრიგის მიზანია დაზარალებულისათვის შეცდომით გამოწვეული ზიანის შემსუბუქება. ზიანის, და განსაკუთრებით, მორალური ზიანის, ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომის არსებობა.[20]

---

[15] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 42.

[16] *პეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო დაწესებულების მიერ ზიანის ანაზღაურება, წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 148.

[17] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 191.

[18] *Aquino B. T.,* Torts and Damages, Second Edition, Manila, 2005, 178.

[19] *Dickens B. M.,* Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003, 110.

[20] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №ას-1163-1092-2012.

საექიმო შეცდომები ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა და პრობლემაა. მსოფლიოში ყოველწლიურად მორალური და ფიზიკური გართულებები საზოგადოების არაერთ წევრს სწორედ დასახელებული მიზეზით წარმოექმნება.[21]

ექიმი მხოლოდ ერთი რგოლია ჯანდაცვის სისტემაში, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი მექანიზმები რისკების დაბალანსებისათვის.[22] ჯანდაცვის სისტემის პრობლემა დიდწილად წარმოადგენს საექიმო შეცდომების რაოდენობის განმსაზღვრელს.[23] კერძოდ, ყველა ექიმს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იმოქმედონ კომპეტენციის ფარგლებში და ჩაატარონ ყველა საჭირო პროცედურა მათი გამოცდილების გათვალისწინებით.[24] სამეცნიერო დოქტრინაში განხილვის საგანია საექიმო შეცდომების შემცირების ტენდენცია, თუმცა კონკრეტული პრევენციული მექანიზმის შექმნა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.[25] ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, თუ როგორ უნდა დაიწყოს სისტემური რეფორმა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ სისტემური ცვლილებები კიდევ უფრო გაზრდის სამართლებრივ ვალდებულებებს, რომელიც წარმოიშობა საავადმყოფოებსა და პაციენტებში საექიმო შეცდომის შედეგად.[26]

საექიმო შეცდომების უგულებელყოფა არაეფექტური გზაა, რადგან მათი აღმოფხვრისათვის აუცილებელია კონკრეტული შემთხვევების აღრიცხვა და შესაბამისი ანგარიშების მომზადება. ინციდენტების მართვა და სისტემური ცვლილებები გასაღებია წარმატებული ჯანდაცვის სისტემისათვის, რაც გააუმჯობესებს პაციენტების დაცულობის, სამედიცინო პერსონალისა და უსაფრთხოების სტანდარტებსა და ხარისხს.[27] საექიმო შეცდომები ხშირად განიხილება, როგორც სამედიცინო პრაქტიკის ნაწილი, რაც მათ ეფექტურ

---

[21] *Sharbafchi-Zadeh N., Karimi S., Taleghani Y. M., Vejdani M.,* Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017, 606.

[22] *Outerbridge T.,* Building Systemic Models for Medical Error Reporting, Health Law Journal, Vol. 12, 2004, 278.

[23] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 48.

[24] *Brannan S., Chrispin E., Davies M., English V., Mussell R., Sheather J., Sommerville A.,* Medical Ethics Today The BMA's handbook of ethics and law, Third edition, London, 2012, 861.

[25] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 194.

[26] *Outerbridge T.,* Building Systemic Models for Medical Error Reporting, Health Law Journal, Vol. 12, 2004, 278.

[27] *Sharbafchi-Zadeh N., Karimi S., Taleghani Y. M., Vejdani M.,* Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017, 613.

გამოყენებას გულისხმობს.[28] ჯანდაცვის სისტემა ვალდებულია ხელი შეუწყოს შეცდომების განხილვას და პარაქტიკულ სწავლებებში მათ ჩართვას, რათა არ მოხდეს საექიმო შეცდომების დამალვა.[29] სააღრიცხვო კლასიფიკაციის სისტემა ცნობილია, როგორც კონკრეტული ქვეყნების სისტემებში, ასევე, საერთაშორისო დონეზე.[30] შეცდომებით უნდა გახდეს ცვლილებების საფუძველი, კერძოდ, სააღრიცხვო სისტემის ფარგლებში უნდა მოხდეს მათი დეტალური განხილვა.[31] ფინეთში, ახალ ზელანდიაში, ნორვეგიასა და დანიაში სააღრიცხვო სისტემა შექმნილია ისეთი კოდიფიკაციის მეთოდით, რომ მარტივად მისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის, რაც პაციენტების უსაფრთხოების იდენტიფიკატორს წარმოადგენს.[32] საექიმო შეცდომის დადასტურებისათვის შემჭიდროებულ დროში უნდა შეიქმნას შესაბამისი კომისია და პაციენტს ჯანმრთელობისათვის დამატებითი ზიანის გარეშე ჩაუტარდეს შესაბამისი პროცედურები.[33] საექიმო შეცდომის შედეგად შეცვლილი ატმოსფერო არ უნდა აისახოს პაციენტის ჯანმრთლობაზე, უფრო ზუსტად, მას ისევ უნდა მიეცეს საშუალება ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია.[34]

აუცილებელია იმ საკითხთა სიღრმისეული განხილვა, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პრაქტიკის გათვალისწინებით, რაშიც განსაკუთრებული წვლილის შეტანა საკანონმდებლო ორგანოს ვალდებულებაა.[35]

საექიმო შეცდომა მნიშვნელოვანი განხილვის საგანია სამეცნიერო დოქტრინაშიც, სადაც დეტალურადაა აღწერილი საექიმო შეცდომის მრავალფეროვნება და

---

[28] *Kapp B. M.,* Medical Error Versus Malpractice, DePaul Journal of Health Care Law, Vol. 1, Issue 4, 1997, 751.

[29] *Ries M N.,* Health professionals and the organization of healthcare Current trends, Routledge Handbook of Medical Law and Ethics, *Joly Y., Knoppers B. M.*, (Eds.) London, 2015, 163.

[30] *Farrell A. M., Devaney S., Dar A.,* No-Fault Compensation Schemes for Medical Injury: A Review, Interim Report, 2010, 48. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2221836.> [06.04.2019].

[31] *Sommerville A.,* Everyday Medical Ethics and Law, London, 2013, 32.

[32] *Farrell A. M., Devaney S., Dar A.,* No-Fault Compensation Schemes for Medical Injury: A Review, Interim Report, 2010, 31, 46, 51.
<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2221836> [06.04.2019].

[33] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 194.

[34] *Flight M.,* Law, Liability & Ethics for Medical Office Professionals, Fifth Edition, Massachusetts, 2011, 105.

[35] *Barmes L.,* Law Reform at the Intersection: Non-pecuniary Loss for Personal Injury, the Law Commission and Judicial Process, Common Law World Review, Vol. 31, Issue 3, 2002, 296.

პრობლემური ასპექტები.[36] იმის გათვალისწინებით, რომ საექიმო შეცდომას პოტენციური საფრთხე მოაქვს პაციენტისათვის,[37] მნიშვნელოვანია მისი იდენტიფიცირება არამარტო იურიდიული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, არამედ, სამედიცინო სწავლებისა და პრევენციის შესაძლებლობის კუთხითაც.[38] მოცემულ საკითხთან მიმართებით სამართლის მიზანია, დაადგინოს „საექიმო შეცდომის“ კონცეფციის სამართლებრივი მნიშვნელობა და განსაზღვროს მისი ადგილი სამართლებრივი რეგულაციის სისტემაში.[39] საზოგადოდ, საექიმო შეცდომად მიიჩნევა ქმედება ან გაუმართლებელი ნაკლოვანება სამედიცინო მომსახურების გამწევის ცოდნასა და უნარებში, რომელიც იწვევს პაციენტისათვის ზიანის მიყენებას, ჯანმრთელობის გაუარესებას ან სიკვდილს.[40]

საექიმო შეცდომა იძენს სამართლებრივ სტატუსს პაციენტისათვის მიყენებული ზიანისათვის ექიმის პასუხისმგებლობის წარმოშობის შედეგად.[41] შესაბამისად, საჭიროა საექიმო შეცდომის ლეგალური დეფინიციის განსაზღვრა, რომელიც დაფარავს, როგორც იურიდიული ასევე სამედიცინო სტანდარტებს.[42] აღნიშნული კი ცალსახად რთული პროცესია, რადგან ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, სტანდარტულად რომელი მოვლენები წარმოადგენს საექიმო შეცდომას და რა ტიპის უარყოფითი შედეგებით ხასიათდება ისინი.[43]

პაციენტისათვის დამდგარი არასასურველი შედეგის საფუძველია საექიმო შეცდომის შედეგად გამოვლენილი ატიპური განვითარება, რაც თავისთავად სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებების მიზეზით დგება.[44] სამედიცინო შეცდომის წარმოქმნა შესაძლებელია მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე ისეთი

---

[36] *Blum D. J.,* Feng shui and the restructuring of the hospital corporation: a call for change in the face of the medical error epidemic, Health Matrix, Vol. 14, Issue 5, 2004, 17.
[37] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 181.
[38] *Dickens B. M.,* Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003, 109.
[39] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 39.
[40] *Fremgen F. B.,* Medical Law and Ethics, 5th Edition, Michigan, 2012, 134.
[41] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 42.
[42] იქვე, 42.
[43] *Weinberg K. J.,* Medical Error and Patient Safety: Understanding Cultures in Conflict, Law & Policy, Vol. 24, Issue 2, 2002, 98.
[44] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 43.

ტიპის გართულებებით, რომელიც პრობლემას უქმნის პაციენტის კეთილდღეობას და ხშირად წარმოაჩენს ჯანდაცვის სისტემის ხარვეზს.[45]

მნიშვნელოვანია, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, რადგან აღნიშნული აღარ წარმოშობს ექიმის ქმედების პროფესიულ შეცდომად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებებს.[46] არსებობს მოსაზრება, რომ საექიმო შეცდომის საფუძველი არაადეკვატურ ინფორმაციულ სისტემაში ან სამედიცინო პერსონალის ნაკლებობაში უნდა არსებობდეს.[47] თუმცა, მსგავსი საფუძვლით პაციენტის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფისათვის კომპენსაციის დაკისრების გამორიცხვა გაუმართლებელია.

საექიმო შეცდომის იდენტიფიცირებისას განმსაზღვრელია ექიმის მიერ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის საკითხი.[48] გულისხმიერების ვალდებულება ახასიათებს ყველა ვალდებულებით ურთიერთობას, რომელშიც მხარეებს ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა აქვთ.[49] განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება არ მიეკუთვნება „წმინდა სამართლებრივ" პრინციპთა კატეგორიას, რადგან აღნიშნული წარმოადგენს მინიმალურ მორალურ და ეთიკურ სტანდარტს სამართალში, რომლის დაცვაც აუცილებელია სამართლისათვის დადგენილი მიზნების მისაღწევად.[50]

გულისხმიერების სტანდარტის გამოვლინებაა ისიც, რომ საექიმო შეცდომის მიყენების შემდეგაც პაციენტის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს უმთავრეს მიზანს, რისთვისაც ზიანის მიმყენებელს პირველ რიგში ახსნა-განმარტების ვალდებულება აკისრია.[51]

---

[45] *Sharbafchi-Zadeh N., Karimi S., Taleghani Y. M., Vejdani M.,* Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017, 606.

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება №ას-1268-1526-09.

[47] *Blum D. J.,* Feng shui and the restructuring of the hospital corporation: a call for change in the face of the medical error epidemic, Health Matrix, Vol. 14, Issue 5, 2004, 18.

[48] *Devereux J.,* Medical Law, Second Edition, London, 2002, 154.

[49] *ვაშაკიძე გ.,* სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 316, §17, 8, <http://www.gccc.ge> [06.06.2019].

[50] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 37.

[51] *Weinberg K. J.,* Medical Error and Patient Safety: Understanding Cultures in Conflict, Law & Policy, Vol. 24, Issue 2, 2002, 99.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს საექიმო შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა, რისთვისაც შესაძლებელია შესაბამისი კომისიებისა შექმნა და მონაცემების ანალიზი,[52] ასევე, საექიმო შეცდომების მუდმივი მონიტორინგი და სიკვდილიანობის შემცირების აქტიური სტრატეგიები.[53] მაგრამ ამასთან ერთად არსებითია დამდგარი საექიმო შეცდომისადმი საკანონმდებლო რეგულაციების სრულფასოვნად ჩამოყალიბება და კომპენსაციის დაკისრებისათვის აუცილებელი მექანიზმების არსებობა.

სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ აშშ-ში, ავსტრალიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, კორეაში, კანადასა და ბელგიაში არსებობს სამედიცინო შეცდომების ანგარიშების სისტემა, რომლის მიხედვითაც ყველა პუნქტში საერთო წერტილად გამოკვეთილია ის გარემოება, რომ საექიმო შეცდომის სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია. ვინაიდან, საექიმო შეცდომა რიგ შემთხვევებში გარდაუვალია, ხოლო შეცდომების მართვისათვის სასურველია სპეციალიზირებული სისტემის შექმნა, რომელსაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი და გამჭირვალობის მაღალი სტანდარტი ექნება.[54]

ექიმის პროფესია მაღალი რისკის მატარებელი და ურთულესი პროფესიაა, რადგან სამედიცინო პერსონალი არასოდეს არის დაზღვეული პროფესიული შეცდომისგან. საექიმო შეცდომა შეიძლება განპირობებული იქნეს სამედიცინო პერსონალისაგან სრულიად დამოუკიდებელი ფაქტორებით – აღჭურვილობის/რესურსების, მედიკამენტების ან დამხმარე საშუალებების უკმარისობით, სამუშაო გარემოს არასრულფასოვნებით. ამავე დროს, შეცდომის მიზეზი შეიძლება გახდეს თავად საექიმო პერსონალის ცოდნის უკმარისობა ან უნარ-ჩვევების არასათანადო დონე.[55] საექიმო შეცდომის დაშვების შემთხვევაში პირველივე ეტაპზე უნდა მოხდეს პაციენტისა და მისი ახლო ნათესავებისათვის შეცდომის მიზეზების განმარტება, კითხვებზე პასუხის გაცემა ამომწურავი ინფორმაციით და მოსალოდნელი რეაქციის მშვიდად მიღება.

---

[52] *Blum D. J.,* Feng shui and the restructuring of the hospital corporation: a call for change in the face of the medical error epidemic, Health Matrix, Vol. 14, Issue 5, 2004, 21.

[53] Patients' Rights in the European Union Mapping eXercise, Final Report, 2016, 196, <https://ec.europa.eu/health/sites/health/files/cross_border_care/docs/2018_mapping_patientsrights_frep_en.pdf> [31.05.2019].

[54] *Sharbafchi-Zadeh N., Karimi S., Taleghani Y. M., Vejdani M.,* Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017, 612.

[55] საქართველოს ექიმის ქცევის წესები, თბილისი, 2010, 52. <http://bpa.ge/book/book75.pdf> [26.04.2019].

1.3. საექიმო შეცდომის კლასიფიკაცია

საექიმო შეცდომების კლასიფიკაცია განხილვის საგანია, როგორც სამედიცინო, ასევე, იურიდიულ წყაროებში, რაც ერთგვარად ხელს უწყობს წარმოქმნილი შედეგის გამოვლენასა და დროულ რეაგირებას.

საზოგადოდ, განასხვავებენ ტექნიკურ შეცდომებს, რომელიც წარმოშობს ექიმებისა და სხვა ჯანდაცვის მუშაკთა სამოქალაქო პასუხისმგებლობას და სხვა შეცდომებს, რომლებიც არ უკავშირდება მედიცინის პრინციპებსა და ექიმისა და პაციენტის ურთიერთობას და წარმოშობს ექიმთა სამოქალაქო პასუხისმგებლობას.[56]

საექიმო შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ხასიათის. მაგალითისათვის, ცოდნის არარსებობის გამო წარმოშობილი შეცდომები ობიექტურ შეცდომებს მიეკუთვნება, ხოლო გამოცდილების ნაკლებობის შედეგად წარმოშობილი შეცდომები - სუბიექტურს.[57]

შესაბამისად, საექიმო შეცდომა შეიძლება კლასიფიცირებული იყოს, როგორც უნარებზე დაფუძნებული შეცდომა, ცოდნაზე დაფუძნებული და გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული შეცდომა.[58] მათ შორის, გამოირჩევიან ისეთი შეცდომები, როგორიცაა დიაგნოსტიკური შეცდომები, ტექნიკური შეცდომები, ტაქტიკური შეცდომები, ორგანიზაციული შეცდომები, დენონტოლოგიური შეცდომები და სამედიცინო დოკუმენტაციის შევსებისას წარმოშობილი შეცდომები.[59]

უნარებზე დაფუძნებული შეცდომები წარმოიშობა პრობლემის გადაჭრისას წესების დარღვევით, ხოლო ცოდნაზე დაფუძნებული შეცდომები მოიცავს არასწორი დოზის დანიშვნას, რაც წარმოიშობა არასწორი სწავლებით, გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოშობილი შეცდომები მოიცავს იმ

---

[56] *Tavasoli S. H., Farokhi B.,* Civil Liability of Doctor and the Medical Staff, International Journal of Scientific Engineering and Science, Vol. 2, Issue 6, 2018, 7.

[57] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 43.

[58] *Dickens B. M.,* Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003, 110.

[59] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 43-44.

შეცდომებს, რომელიც ექიმის მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილების შედეგებს წარმოადგენს.[60]

შეცდომად მიიჩნევა, როგორც დაგეგმილი სამოქმედო გეგმის შეუსრულებლობა, ასევე, მიზნის მისაღწევად არასწორი სამოქმედო გეგმის დასახვა.[61] აგრეთვე, საექიმო შეცდომა მოიცავს ექიმის არასწორ ქმედებებს, რომელიც მისი პროფესიული მოვალეობების დროს კეთილსინდისიერი ქმედების შედეგია და არ შეიცავს დარღვევის შემადგენლობას.[62]

შეცდომების კლასიფიკაცია მნიშვნელოვანია მათი პრევენციისა და შემცირების მიზნით, რაშიც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ექიმის გაუფრთხილებლობას. იურიდიული თვალსაზრისით, ხშირად კამათის საგანია, მიეკუთვნება თუ არა საექიმო შეცდომა გაუფრთხილებლობას. ხოლო შეცდომის გაუფრთხილებლობად კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია თავად საექიმო შეცდომის ბუნება.[63] იმ შემთხვევაში, თუ საექიმო შეცდომა არ იქნებოდა დაშვებული საშუალო შესაძლებლობებისა და ცოდნის კომპეტენტური პროფესიონალის მიერ, რომელიც ჩვეულებრივი ზრუნვით მოქმედებდა, მაშინ შეცდომა განეკუთვნება გაუფრთხილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, თუ შეცდომა, რომელიც ნებისმიერი საშუალო სტატისტიკის ექიმისაგან მოსალოდნელი იყო, არ წარმოადგენს გაუფრთხილებლობას.[64] პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებით, საექიმო შეცდომისას გადამწყვეტია, ექიმმა არ ჩაატარა კონკრეტული პროცედურა, თუ მისი პროფესიული გამოცდილება არ იყო საკმარისი და არ გამოიჩინა შესაბამისი გულმოდგინება. აღნიშნული კი ფაქტობრივად დადის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ელემენტის დადგენამდე.[65]

ზოგადად, სსკ-ის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულების დაკისრებისთვის საკმარისია

---

[60] *Dickens B. M.,* Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003, 110.

[61] *Terry P. N.,* An eHealth Diptych: The Impact of Privacy Regulation on Medical Error and Malpractice Litigation, American Journal of law and Medicine, Vol. 27, Issue 4, 2001, 374.

[62] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 42.

[63] *Dickens B. M.,* Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003, 110-111.

[64] იქვე, 111.

[65] *Furrow B. R.,* Iatrogenesis and Medical Error: The Case for Medical Malpractice Litigation, Law, Medicine & Health Care, Vol. 9, Issue 5, 1981, 5.

მსუბუქი გაუფრთხილებლობის დადგენა.[66] საექიმო შეცდომის შეთხვევებში მნიშვნელოვანია სპეციფიკის გათვალისწინებით ბრალის ფორმის ზუსტი განსაზღვრა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული ტერმინი „მცდარი სამედიცინო ქმედება“ უნდა გულისხმობდეს არაგანზრახ ქმედებას, რათა ექცეოდეს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული მცდარი სამედიცინო ქმედების ფარგლებში.[67] ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭიროა, დადგინდეს საექიმო შეცდომა, რომლის განმარტებაც მოცემულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში და ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოსტიკური და ან სამკურნალო ისეთი ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი ხდება. კანონის აღნიშნული განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმის პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.[68]

1.4. პაციენტის სტატუსი და სამედიცინო პერსონალის განსაზღვრება საექიმო შეცდომასთან მიმართებით

მნიშვნელოვანია, პაციენტის სტატუსიც. ვინ წარმოადგენს პაციენტს და რა პერიოდით, ასევე, როგორ განისაზღვრება პაციენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რელევანტურია საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ და საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კანონი იძლევა პაციენტის ლეგალური დეფინიციის განსაზღვრებას, თუმცა გარკვეულწილად განსხვავდება მათი განმარტება.

პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმადაც, პაციენტი არის „ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს

---

[66] *პეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო დაწესებულების მიერ ზიანის ანაზღაურება, წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 151.

[67] იქვე, 151.

[68] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება №ას-247-237-2013.

ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით.“[69] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პაციენტი განსაზღვრულია, როგორც „პირი, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს სამედიცინო დახმარებით“.[70]

დასახელებული ნორმების ანალიზით იკვეთება არსებითი შეუსაბამობა დეფინიციაში. ერთი მხრივ, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი პაციენტად მოიაზრებს ნებისმიერი პირს, რომელიც არამარტო სარგებლობს სამედიცინო დახმარებით, არამედ საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ამ მომსახურებით. მეორე მხრივ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პაციენტი წარმოადგენს პირს, რომელიც მხოლოდ სარგებლობს სამედიცინო დახმარებით. აღნიშნული შესაძლოა პრაქტიკული თვალსაზრისით პრობლემური გახდეს, ამიტომ საჭიროა მსგავსი უზუსტობის დახვეწა და ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება, რომელიც არ შექმნის მსგავს გაუგებრობებს.

დღევანდელი რეგულაციების ფარგლებში კი პაციენტად უნდა მივიჩნიოთ ნებისმიერი პირი, რომელიც სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით ან აპირებს ისარგებლოს ამ მომსახურებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ პირს უნდა ჰქონდეს გარკვეული ურთიერთობა ან კავშირი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის სუბიექტთან, იმისათვის, რომ მოხდეს მისი პაციენტად იდენტიფიცირება.[71]

პაციენტის ჯანმრთელობის დაცვასა და ზრუნვაზე ორიენტირებული ინიციატივები გამორიცხავს პაციენტის, როგორც მომხმარებლის შეფასებას.[72] მართალია, გარკვეული თვალსაზრისით ავლენს პაციენტი მომხმარებლის კატეგორიასთან მსგავსებას, თუმცა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე პაციენტი წარმოადგენს ისეთ პირს, რომელიც მთლიანი სისტემის ცენტრია და მომხმარებელთან შედარებით ნაკლებად გაცნობიერებულია. სწორედ ამიტომ საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვასა და გულისხმიერებას.[73] ამასთან, პოტენციურად პაციენტისადმი, როგორც „მომხმარებლის“ ან „კლიენტისადმი“ მოპყრობა უპატივცემულობად შეიძლება

---

[69] საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.
[70] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი.
[71] *Minow M.,* Who's the Patient, Maryland Law Review, Vol. 53, Issue 4, 1994, 1173.
[72] *Gusmano K. M., Maschke J. K., Solomon Z. M.,* Patient-Centered Car Yes; Patients As Consumers, No, Health Affairs, Vol. 38, Issue 3, 2019, 368.
[73] იქვე, 368.

ჩაითვალოს, რაც წარმოშობს პაციენტისათვის არაპროპორციულ ტვირთს და გაუმართლებელია მისი საჭიროებებიდან გამომდინარე.[74] გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომხმარებლისაგან განსხვავებით, პაციენტს არ აქვს მომსახურების ხარისხის შეფასების შესაძლებლობა,[75] ამიტომაც მიზანშეწონილი არ იქნება პაციენტის, როგორც მომხმარებლის განხილვა.

საექიმო შეცდომა იწვევს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას, რაც ფუნდამენტური საკითხია, რადგან აუცილებელია იდენტიფიცირდეს საექიმო შეცდომის ჩამდენ სუბიექტთა წრე.[76]

სამედიცინო სფეროსა და ფარგლების განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, დადგინდეს სამედიცინო საქმიანობის სუბიექტები. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ტიპის სუბიექტებს განეკუთვნება ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც გააჩნია თანამედროვე სამედიცინო დონის შესაფერისი პრაქტიკული გამოცდილება და საქმისათვის საჭირო გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური რესურსი.[77]

ამასთან მიმართებით, საყურადღებოა სამედიცინო პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება ეკისრებოდეს ექიმს ან საავადმყოფოს, რისი დადგენაც უნდა მოხდეს კონკრეტული შეცდომის ანალიზის შედეგად.[78] მართალია, სსკ-ის 1007-ე მუხლი მხოლოდ სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს არეგულირებს, რაც გულისხმობს, რომ ვალდებულ სუბიექტს სამედიცინო დაწესებულება წარმოადგენს, თუმცა მას შეუძლია რეგრესის წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ბრალეული პირისაგან.[79] ძირითადად, საექიმო შეცდომების დაშვება ხდება ჯანდაცვის ორგანიზაციებში, სამედიცინო ცენტრებსა და საავადმყოფოებში, სადაც არსებობს საჭირო აღჭურვილობა და თერაპიის

---

[74] *Deber B. R., Kraetschmer N., Urowitz S., Sharpe N.,* Patient, consumer, client, or customer: what do people want to be called?, Health Expectation, An International Journal of Public Participation in Health Care and Health Policy, Vol. 8, Issue 4, 2005, 348.

[75] *Gusmano K. M., Maschke J. K., Solomon Z. M.,* Patient-Centered Care, Yes; Patients As Consumers, No, Health Affairs, Vol. 38, Issue 3, 2019, 369.

[76] *Faure M.* (ed.), Tort Law and Economics, Encyclopedia of Law and Economics, Second Edition, Vol. 1, Massachusetts, 2009, 341.

[77] *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი, 2013, 115.

[78] *Bączyk-Rozwadowska K.,* Civil Liability for Medical Malpractice. Damage Resulting from Doctor's Negligence (Breach of Professional Duties), Premat Cardio, Vol. 5, Issue 4, 2015, 43.

[79] *ჭანტურია ლ.,ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 428.

მეთოდები, რაც უფრო საიმედოს ხდის მათ.[80] მაგრამ პასუხისმგებლობის თვალსაზრისით საინტერესოა საექიმო შეცდომის ჩამდენი სუბიექტები. საექიმო შეცდომის ჩამდენ სუბიექტებში ექცევა, როგორც ექიმი, ასევე, თანაშემწე, ექთანი ან უმცროსი მედდა.[81] ამნაზღაურებელ სუბიექტთან მიმართებით გამოსაკვლევია კონკრეტული ქმედების საფუძველი. უფრო ზუსტად, სამედიცინო დაწესებულების სისტემური ხარვეზი გახდა საფუძველი, თუ კონკრეტული პერსონალის მიერ მიღებული ან შესრულებული გადაწყვეტილება. ამასთან, მიმართებით საინტერესოა შემთხვევა, როდესაც ექიმი კერძო საქმიანობას ეწევა და არ არის რომელიმე საავადმყოფოში დასაქმებული, რაც მის პასუხისმგებლობას ტექნიკურ და სისტემურ ნაწილზეც ავრცელებს.[82] შესაბამისად, მნიშვნელოვანია საექიმო შეცდომის იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება, რაც პასუხისმგებელ სუბიექტს გამოკვეთს მისი შედეგებიდან გამომდინარე.

საექიმო შეცდომის ჩამდენ სუბიექტებად მიზანშეწონილია იმ სპეციალისტების მიჩნევა, რომლებსაც ფლობენ სპეციალობის სტანდარტით დადგენილი კვალიფიკაციას და არიან პრაქტიკის მქონენი, რომელთათვისაც შეცნობადია პაციენტთან ქცევის ჩვეულებრივი მზრუნველობითი დამოკიდებულება.[83]

2. მორალური ზიანის არსი და მისი ანაზღაურების კრიტერიუმები

2.1. მორალური ზიანის არსი

არამატერიალური სიკეთის ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მორალური ზიანი ხშირად სწორედ სამედიცინო პროცედურებში შეცდომებს უკავშირდება.[84]

თანამედროვე სამართალი არ სჯერდება მხოლოდ ადამიანის ფიზიკურად ხელშესახები სიკეთეების დაცვას.[85] მორალური ზიანის ანაზღაურება შეტანილია

---

[80] *Bączyk-Rozwadowska K.,* Civil Liability for Medical Malpractice. Damage Resulting from Doctor's Negligence (Breach of Professional Duties), Premat Cardio, Vol. 5, Issue 4, 2015, 43.

[81] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 47.

[82] *Bączyk-Rozwadowska K.,* Civil Liability for Medical Malpractice. Damage Resulting from Doctor's Negligence (Breach of Professional Duties), Premat Cardio, Vol. 5, Issue 4, 2015, 43.

[83] *Kionka J. E.,* Torts, Second Edition, Minnesota, 1993, 221.

[84] *Sebert A. J.,* Punitive and Nonpecuniary Damages in Actions Based Upon Contract: Toward Achieving the Objective of Full Compensation, UCLA Law Review, Vol. 33, Issue 6, 1985, 1585.

[85] *ჭანტურია ლ.,* პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12, 1997, 24.

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის სისტემაში, როგორც ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგანი, რომლისათვისაც გვერდის ავლა შეუძლებელია.[86]

საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალწახნაგოვანი და კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, ზიანის და განსაკუთრებით მორალური ზიანის ერთიანი და უნიფიცირებული ფორმით ჩამოყალიბება უკიდურესად რთულია. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილისთვის ერთიანად მისაღები ზიანის ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია, აუცილებელია ობიექტური მახასიათებლების მოძიება, რომლებიც ცივილიზებული საზოგადოებისთვის პრინციპულად მისაღებ ნიშნებს ეფუძნება.[87]

საყურადღებოა, რომ მორალურ ზიანთან მიმართებით პრობლემურია ტერმინოლოგიაც, რადგან ხშირად გამოიყენება „არაქონებრივი" ზიანი ან „ფსიქიკური ზიანი", რაც ბუნდოვანებას იწვევს. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს ყველაზე ზუსტი და შესაფერისი ტერმინი სამართლებრივი თვალსაზრისით.[88]

სსკ არ განსაზღვრავს მორალური ზიანის დეფინიციას და ეს საკითხი დარჩენილია სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის პრობლემად. მორალურ ზიანთან მიმართებით სსკ ნაწილობრივ ჩამოთვლის სიკეთეებს, რისი ხელყოფის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რაც ასევე სასამართლოს შეფასების საგანი უნდა იყოს.[89] თუმცა დღესდღეობით მორალური ზიანის ცნება ფართოდ გამოიყენება ფრანგული გავლენის მქონე სისტემებში, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, ბელგია. ამავე დროს, გერმანიაში ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება არამატერიალურ დანაკარგს. არამატერიალური დანაკარგი შედარებით ხშირად გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილებებშიც, მაგრამ ცნება კანონმდებლობით ნათლად განსაზღვრული არ არის.[90] თუმცა, დღეის მდგომარეობით, შესაძლებელია ხსენებული ტერმინების მორალური ზიანის დეფინიციაში მოსაზრება.

---

[86] *რცხილაძე გ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", №4, 1928, 4.

[87] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 646.

[88] *ტარტარაშვილი ნ.,* არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, 185.

[89] *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 468.

[90] *Palmer V. V.* (ed.), The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015, 4.

თანამედროვე ტენდენციები მორალური ზიანის ცნებას ძირითადად უარყოფითი ფსიქიკური განცდებისა და სულიერი მდგრადობის შელახვის კონტექსტში განიხილავს.[91]

მორალური ზიანი მნიშვნელოვნად განსხვავდება მატერიალური ზიანისაგან. უფრო ზუსტად, მატერიალურია ზიანი არამარტო იმ შემთხვევაში, როცა ზიანს ქონებისათვის ვნების მიყენების ხასიათი აქვს, არამედ ყოველთვის, როცა ზიანი შეიძლება შეფასებულ იქნეს ფულზე სამოქალაქო ბრუნვის წესების თანახმად.[92] მორალური ზიანი არის იმ ტიპის დანაკარგი, რომელიც არ შეიძლება კონკრეტულ აქტივებში ფულადი სახით იქნეს შეფასებული, რადგან მორალური ზიანი გულისხმობს ფსიქიკურ და სულიერ დაზიანებებს.[93] მორალური დაზიანება ნიშნავს ზიანს, რომელიც არ ეხება პირის ქონების ან შემოსავლის დაზიანებას. სწორედ ამ მიზეზით ეს კატეგორია მოიცავს ფართო სპექტრის დაზიანებას, მათ შორის, სხეულის დაზიანება, სულიერი ჯანმრთელობის დარღვევა და სულიერი ტანჯვის გრძნობა.[94] ის ფაქტი, რომ მორალური ზიანი ფართო სპექტრის დაზიანებებს მოიცავს, იძლევა ზიანის ინტერპრეტირების საშიშროებას.[95]

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორალური ზიანის ხასიათი დამოკიდებულია არა ხელყოფილი სიკეთის თვისებაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად შეიძლება სიკეთის შელახვის შედეგი ქონებრივად შეფასდეს და ფულად ეკვივალენტში აისახოს.[96] შესაბამისად, ზიანის ბუნების განსაზღვრისათვის აუცილებელია იმის განსაზღვრა, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ქონებრივი, ფულადი ეკვივალენტი.[97]

სიკეთე შეიძლება მორალური იყოს. ამ სიკეთის ვნება კი ქონებრივ ზიანს წარმოადგენდეს და პირიქით, სიკეთე შეიძლება მატერიალური იყოს, ხოლო იმის

---

[91] *ქათამაძე ნ.,* არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, სამართალი და მსოფლიო, №9, 2018, 78.

[92] *რცხილაძე გ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928, 1.

[93] *Erman W.,* Handkommentar zum Bürgelichen Gesetzbuch, I Band, 6. Auflage, Münster, 1975, §1, 558.

[94] *Dauti A.,* Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, Issue 3, 2017, 104 .

[95] *Micallef-Grimaud C.,* Article 1045 of the Maltese Civil Code: Is Compensation for Moral Damage Compatible There with?, Journal of Civil Law Studies, Vol. 4, Issue 2, 2011, 497.

[96] *ბიჭია მ.,* გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, №8, 2017, 78.

[97] *ნინიძე თ.,* მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალში „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978, 45. *მითითებულია: ბიჭია მ.,* გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, №8, 2017, 78.

ვნებას მორალური ზიანი ჰქონდეს შედეგად.[98] უმთავრესია, რომ მორალური ზიანის მიმყენებლის ქმედებამ ზემოქმედება უნდა მოახდინოს დაზარალებულის შეგნებაზე, კერძოდ, უნდა გამოიწვიოს მის უარყოფითი რეაქცია.[99] მორალური ზიანი არის არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეული ფიზიკური-ზნეობრივი ხელყოფა, რაც არ მოიცავს ქონებრივ ელემენტს, რადგან წმინდა ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვაა.[100] მორალური ზიანის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია ფიზიკური ტანჯვის, წვალებისა და მენტალური ტანჯვის ფაქტის არსებობა.[101]

აღსანიშნავია, რომ ხშირად ზიანი ერთსა და იმავე დროს მორალურიც არის და მატერიალურიც, მაგრამ ეს ფაქტი წარმოადგენს მათ გამომწვევ გარემოებათა იგივეობას და არა თვით მატერიალური და მორალური ზიანის მსგავსებას.[102] უნდა ითქვას, რომ მორალური ზიანი, ხშირად უფრო ძნელად ასატანია დაზარალებულისათვის, ვიდრე ქონებრივი ზიანი, რადგან მორალური ზიანი ხშირად იწვევს ადამიანის მთელი ცხოვრების დამახინჯებას, რომელსაც, ამავე დროს თან სდევს ძლიერი ნერვული მოშლილობა, რომელიც იწვევს სერიოზულ დაავადებებს, ზოგ შემთვევაში, სიკვდილსაც კი.[103]

მორალური ზიანი წარმოადგენს პირის პერსონალური სიკეთეების ხელყოფის ისეთ შემთხვევას,[104] რომელიც შესაძლებელია მოხდეს, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.[105] ორივე შემთხვევაში მორალური ზიანის მთავარი გამოხატულება არის შედეგი, რაც დაზარალებულზე უარყოფითად აისახება. ასევე, მორალური ზიანის გამოხატულება დაზარალებულისათვის შეცნობადი

---

[98] *რცხილაძე გ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928, №4, 1.

[99] *დოღონაძე ლ.,* არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი, 2(10), 2010, 1.

[100] *ბიჭია მ.,* პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, 2012, 212.

[101] *Schwartz E. V., Kelly K., Partlett F. D.,* Torts, Cases and Materials, New York, 2010, 551.

[102] *რცხილაძე გ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928, №4, 1.

[103] *თოფჩიშვილი მ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1999, 61–62.

[104] *Dauti A.,* Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, Issue 3, 2017, 117.

[105] *Popovici V. I.*, Contribution to the Study of Moral Damage and Its Repair in Romanian Civil Law, Annals of the Constantin Brancusi University of Targu Jiu Juridical Sciences Series, Vol. 2015, Issue 1, 2015, 104.

ხდება, როგორც ქმედების განხორციელებისთანავე, ასევე, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.[106]

მორალური ზიანი არის არამართლზომიერი ქმედების შედეგად ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა, რომელიც არ მოიცავს მატერიალურ საკითხს. მორალურ ზიანში იგულისხმება მოქმედებით ან უმოქმედობით მიყენებული ზნეობრივი ან ფიზიკური ტანჯვა, რომელიც პიროვნების არამატერიალურ სიკეთეებს ხელყოფს ან არღვევს არაქონებრივ უფლებებს. მორალური ტანჯვა ნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ აუცილებლად ასახვა უნდა ჰპოვოს დაზარალებულის შეგნებაში, გამოიწვიოს ფსიქიკური რეაქციები და განცდები.[107] მორალური ტანჯვა არის ტკივილი, რომლის ჩამოყალიბებაც იურიდიული დეფინიციის სახით რთულია, რადგან პირის შინაგან ფსიქიკურ ტანჯვას და სტრესს უკავშირდება, რომელიც გამოიხატება აწმყოში შფოთის სახით ან შესაძლოა გამოვლინდეს მომავალში ფსიქიკური სირთულეების სახით.[108] ის ფაქტი, რომ მორალური ზიანი არის ადამიანის სულიერი მდგომარეობის, სულიერი ტკივილისა და ტანჯვის მიზეზი ამ მდგომარეობის მიმყენებლის ქმედება ცალსახად უკანონოა და დაზარალებულს ანიჭებს უფლებას დამრღვევი პირისაგან მოითხოვოს კომპენსაცია მორალური ზიანისათვის.[109]

2.2. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი კრიტერიუმები

მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრება წარმოადგენს ერთ-ერთ საკამათო საკითხს, რასთან დაკავშირებითაც არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და არგუმენტები.[110] კომპენსირების საკითხი განხილვადია როგორც სასამართლო სისტემებში, ასევე აკადემიურ წრეებში.[111] ზიანის მოიცავს, როგოც

---

[106] *Westermann P. H.,* Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbbauRg, HausratsVo, LpartG, ProdHaftG, UklaG, VAHRG und WEG, 12. Auflage, Köln, 2008, 950.

[107] *ტარტარაშვილი ნ.,* არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, 186.

[108] *Glendhill M. C.,* Assessment of Damages for Loss of 'Amenities' of Life: Wise v Kaye and Another, Sydney Law Review, Vol. 13, Issue 4(2), 1963, 300.

[109] *Dauti A.,* Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, Issue 3, 2017, 105.

[110] *Carnwath J., Burrows A., Faber D., Harpum C., Silber S.,* Damages for Personal Injury: Non-pecuniary Loss, The Law Commisdion, 257, 1988, 12, <http://www.lawcom.gov.uk/app/uploads/2015/03/lc257_Damages_Personal_Injury_Non-pecuniary_Loss.pdf> [07.07.2019].

[111] *Cohen N., McKendrick E.,* (eds.) Comparative Remedies for Breach of Contract, Oregon, 2005, 287.

მატერიალურ, ასევე, არამატერიალურ დანაკარგებსაც, რაც კომპენსაციის საკითხზე უარყოფითად არ უნდა აისახოს.[112]

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი პრობლემურია, რადგან იგი თვალით უხილავია და რთულია იმის მტკიცება, რომ კონკრეტული არამატერიალური სიკეთის ხელყოფის შედეგს წარმოადგენს ფიზიკური ტკივილი თუ სულიერი განცდა.[113] მორალური ზიანის ანაზღაურებისას ზოგადად პრობლემურია ზიანის ზუსტი კალკულაცია,[114] რადგან ამ ტიპის ზიანს არ გააჩნია ფულადი ეკვივალენტი.[115] დოქტრინაში არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების უარყოფის ტენდენცია იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ შეუძლებელია სიცოცხლის დაკარგვის ან სერიოზული პირადი დაზიანების ფულად თანხაში ასახვა. ამავე მიზეზით მორალური ზიანის კომპენსაცია არ არის ასახული სხვადასხვა ქვეყნის დელიქტურ სამართალში.[116] ზიანის ანაზღაურების წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფინანსური თუ არაფინანსური დანაკარგის მიუხედავად, საჭიროა დამდგარი ზიანის კალკულაცია ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.[117]

მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მისი ანაზღაურების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს, დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მხრიდან.[118] სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირის მიერ თავისი არასრულფასოვნების გათვითცნობიერება, რომ ჩვეული ცხოვრების გაგრძელების შეუძლებლობა, სამუშაოს დაკარგვა და სხვა უარყოფითი

---

[112] *Looschelders D.,* Schuldrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008, § 881, 282.

[113] *ტარტარაშვილი ნ.,* არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, 185.

[114] *Micallef-Grimaud C.,* Article 1045 of the Maltese Civil Code: Is Compensation for Moral Damage Compatible Therewith?, Journal of Civil Law Studies, Vol. 4, Issue 2, 2011, 482.

[115] *Prütting H., Wegen G., Weinrich G.,* BGB Kommentar, 1. Auflage, Köln, 2006, § 2, 357.

[116] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 48.

[117] *Tettenborn A.,* Non-Pecuniary Loss: the Right Answer, but Bad Reasoning? Journal of Obligations and Remedies, Vol. 93, Issue 2, 2003, 102-103.

[118] *ტარტარაშვილი ნ.,* არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, 186.

გარემოებების გამო ფსიქიკური განცდა წარმოადგენს მორალურ ზიანს,[119] რაც მისი დანაკარგის მნიშვნელობიდან გამომდინარე მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. ამასთან, მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობას მოპასუხისათვის შეუძლია მოტივაციის ამაღლება და ზიანის შემცირების პრევენცია.[120]

პრაქტიკაში იკვეთება შემთხვევები, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურება არ ხდება. შესაბამისად, აუცილებელია დეტალურად იმის გარკვევა, რა წინაპირობების დადგომის შემთხვევაში ხდება კომპენსაციის დაკისრება.[121]

დემოკრატიული სახელმწიფოების უმრავლესობა ცალსახად აღიარებს მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის შესაძლებლობებს, მიუხედავად იმისა, რომ თანხა შეუსაბამოა დანაკარგთან მიმართებით, კომპენსაცია განიხილება, როგორც თანასწორობის ხელშეწყობის საშუალება.[122] მორალური ზიანის ანაზღაურება უარყოფილია იმ შემთხვევებში, როცა კანონით არ არის გათვალისწინებული კონკრეტული სიკეთის ხელყოფისას მისი ანაზღაურება.[123] მსგავსი ტიპის მიდგომა უცხო არ არის სხვა ქვეყნის კანონმდებლობებისთვისაც. მაგალითად, გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მხოლოდ იმ კონკრეტული სიკეთეების ხელყოფა ანაზღაურდება, რაც კანონითაა გათვალისწინებული. ფაქტობრივად, კანონით გაუთვალისწინებელი სიკეთეების ხელყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი ღიად არის დატოვებული, რაც შეუძლებელს ხდის მათ კომპენსირებას.[124]

ზიანისათვის არაფულადი ანაზღაურება, ცხადია, თეორიულად შესაძლებელია, თუმცა მორალური ზიანით დამდგარი ხელყოფისას ნაკლებად სავარაუდოა შემთხვევა, როდესაც ხელყოფამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა

---

[119] *დოღონაძე ლ.,* არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი, №2(10), 2010, 2.

[120] *Carnwath J., Burrows A., Faber D., Harpum C., Silber S.,* Damages for Personal Injury: Non-pecuniary Loss, The Law Commission, No 257, 1988, 12, <http://www.lawcom.gov.uk/app/uploads/2015/03/lc257_Damages_Personal_Injury_Non-pecuniary_Loss.pdf> [07.07.2019].

[121] *Andoh B.,* Damages for Non-Pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 182.

[122] *Mullany N.,* A New Approach to Compensation for Non-Pecuniary Loss in Australia, Melbourne University Law Review, Vol. 17, Issue 4, 1990, 714.

[123] *Brand O.,* Das Neue Schadenrecht, Examenswissen zum neuen Schuldrecht, *Schwab M., Heinz W. C.* (Red.), 2. Auflage, München, 2003, 399.

[124] *Larenz K.,* Lehrbuch des Schuldrechts, I Band, Allgemeiner Teil, 13. Auflage, München, 1982, 398.

მოხერხდება.[125] მორალური ზიანი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს შეუცვლელ დანაკარგს ან/და დაზიანებას. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს კომპენსაციის დაკისრებას. შესაბამისად, დაზარალებულმა უნდა მიიღოს ფულადი თანხა, როგორც სიტუაციის შედარებით გაუმჯობესების ნაყოფი.[126]

მორალური ზიანის არსებობისას ფულადი ანაზღაურების საკითხი გამომდინარეობს სსკ-ის 409-ე მუხლით დადგენილი პრინციპიდანაც, რომლის თანახმადაც თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან უკავშირდება არათანაბარზომიერ ხარჯებს უნდა მოხდეს ფულადი კომპენსაცია.[127]

მიუხედავად იმისა, რომ მორალური ზიანი არ გამოიხატება ქონებრივი სახით, დაზარალებულის უფლება ზიანის ფულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით უპირობოდ არსებობს.[128] ამრიგად, მორალური ზიანის არსებობის შემთხვევაში არ არსებობს ზიანის ზუსტი შესატყვისი მატერიალური ღირებულება, მაგრამ დანაკარგი არ იარსებებდა ზიანის მიმყენებლის ქმედების გამო, რაც წარმოშობს მისი ანაზღაურების საჭიროებას.[129]

ის ფაქტი, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება პირდაპირ თუ ირიბად დაშვებულია, საჭიროებს შესაბამისი წინაპირობების არსებობას მოთხოვნის წარმატებით დაკმაყოფილებისათვის.[130] ამასთან, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, მიმყენებელი პირი და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხი, აგრეთვე, მოპასუხე პირის ქონებრივი მდგომარეობა.[131]

---

[125] *ბარაბაძე ნ.,* სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, №4(31), 2011, 120.

[126] *Visscher L.,* Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014, 44.

[127] *კერესელიძე დ.,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 157-158.

[128] *Dauti A.,* Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, Issue 3, 2017, 105.

[129] *Handford P. R.,* Moral Damage in Germany, International and Comparative Law Quarterly, Vol 27, Issue 4, 1978, 849.

[130] *Handford P. R.,* Moral Damage in Germany, International and Comparative Law Quarterly, Vol 27, Issue 4, 1978, 850.

[131] *თოფჩიშვილი მ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1999, 62.

დელიქტური პასუხისმგებლობის მსგავსად, მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრებისათვის და ანაზღაურების უფლების წარმოშობისათვის საჭიროა, არსებობდეს მორალური ზიანი, მისი გამომწვევი არამართლზომიერი ქმედება, მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი.[132]

მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის თანხის დაკისრება, რაც გარკვეულ დანაკლისს მოახდენს ზიანის მიმყენებელზე, რათა მან განიცადოს აღნიშნული ქმედების შედეგები, ასევე, დაზარალებულს მიეცეს შელახული უფლების აღდგენის გარკვეული შესაძლებლობა. აგრეთვე, ამგვარი დაზიანებისათვის დანიშნული კომპენსაცია ყოველთვის ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს და მისი მიზანი უნდა იყოს დაზარალებულის „სავალალო დასაბუთებული განსაცდელის" შემსუბუქება და არა მისი გამდიდრება.[133] მორალური ზიანის ანაზღაურებისას მართლაც მნიშვნელოვანია, რომ კომპენსაცია უნდა იყოს ზიანთან პროპორციული და რეალურად არსებობდეს მისი დაკისრების საჭიროება, რადგან მორალური ზიანი არ არის დამატებითი თანხების მიღების ან გამდიდრების მექანიზმი.[134] ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში ვერ დაფიქსირდება კომპენსაციის ზედა ზღვარი, რადგან ყოველი კონკრეტული შემთხვევა მოიცავს განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და საჭიროებს ანალიზს და შეფასებას.[135]

3. პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული მორალური ზიანის სპეციფიკა

კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიუხედავად, საექიმო საქმიანობის შემსრულებელი გარკვეულ შემთხვევაში, არ ასრულებს მისთვის მეტად საპასუხისმგებლო ვალდებულებებს და შედეგად ვიღებთ ისეთი უფლებების დარღვევას, რომელიც ეხება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებს.[136]

---

[132] *ბარაბაძე ნ.,* მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2005, 68.

[133] *Mullany N.,* A New Approach to Compensation for Non-Pecuniary Loss in Australia, Melbourne University Law Review, Vol. 17, Issue 4, 1990, 717.

[134] *Faure G. M.*, Compensation of Non-Pecuniary Loss: An Economic Perspective, European Tort Law, Frankfurt am Main, 2000, 150.

[135] *Waddams S. M.,* Compensation for Non-Pecuniary Loss: Is There a Case for Legislative Intervention, The Canadian Bar Review, Vol. 63, Issue 4, 1985, 736.

[136] *თამაზაშვილი ნ.,* ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა - პაციენტის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2013, 135.

ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არსებობს, როგორც მატერიალური დანაკარგების, ასევე, არამატერიალური დანაკარგის გამო. თუმცა ტკივილისა და ტანჯვის გამოწვევის გარეშე მსგავსი კომპენსაციები არ ექვემდებარება დასაბუთებას.[137] მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი საექიმო შეცდომა არ წარმოშობს კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობას. პირველ რიგში, საჭიროა არსებობდეს კონკრეტული ზიანი, რაც გამოვლენილი იქნება როგორც რუტინული ქმედების ან გადაუდებელი პროცედურის შედეგი.[138]

მორალური ზიანის კატეგორიზაციისათვის საერთო ბაზის ძიების სირთულე გამოკვეთილია ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში, რაც, შესაბამისად, ასახვას ჰპოვებს საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის დეტალიზაციაშიც.[139]

სხეულის დაზიანებისას ჯანმრთელობის დაზიანება ხდება წმინდა გარეგანი ზიანის სახით, ხოლო როდესაც ჯანმრთელობა ზიანდება, შინაგანი ფუნქციების დარღვევისას სახეზეა შინაგანი ზიანი. აღსანიშნავია, რომ დაზიანება შეიძლება იყოს ფიზიკური (დარტყმა, მოწამვლა) ან ფსიქიკური (შოკის შედეგად მიყენებული ზიანი).[140]

საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული არამატერიალური ზიანის საფუძველი შესაძლებელია იყოს პირადი დაზიანება და რიგ შემთხვევებში სიკვდილიც კი. დაზიანება შესაძლებელია გამოიხატოს, როგორც პირადი კეთილდღეობის დაზღვევაში, ასევე, ტკივილისა და ტანჯვის გამოხატვაში. აგრეთვე, პირადი დაზიანებების სახეს განეკუთვნება მენტალური ტანჯვა და ფიზიკური შეფერხება ან რეპუტაციის დაკარგვა.[141] აღსანიშნავია, რომ საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანი - „ტკივილი“ არის დაზიანების იმგვარი გავლენა, რაც აისახება ნერვულ სისტემაზე და პირისათვის იწვევს პირდაპირ სტრესს.[142]

---

[137] *Andoh B.,* Damages for Non-pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 181.

[138] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 42.

[139] *Banakas S.,* Non-Pecuniary Loss in Personal Injury: Topography Architecture and Nomenclature in the European Landscape, Journal of Comparative Law, Vol. 10, Issue 2, 2015, 310.

[140] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, *დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ.* (თარგმანი), თბილისი, 2014, 627.

[141] *Andoh B.,* Damages for Non-pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 181.

[142] *Halson R.,* The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, Chinese Journal of Comparative Law, Vol. 3, Issue 2, 2015, 8.

სამართლის მიერ ერთ-ერთი დაცული სიკეთე, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს მორალური ზიანისათვის ანაზღაურება, ადამიანის ჯანმრთელობაა. აღნიშნული კი თავის თავში მოიაზრებს სხეულის დაზიანებას ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებას, ადამიანის ჯანმრთელობის იმგვარ ხელყოფას, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, შრომისუუნაროდ აქცევს. სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს. თუმცა ასეთ დროს სავალდებულოა დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.[143] მორალური ზიანი ასევე გამოხატულებას ჰპოვებს მენტალური ტრავმის სახით, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური დაზიანების შედეგად ან სხვა დამოუკიდებელი მიზეზით.[144]

სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი შედეგობრივად შესაძლოა მრავალფეროვანი იყოს. მაგალითად, უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს.[145] აგრეთვე, მნიშვნელოვანია მენტალური ტანჯვა, რაც არ მიეკუთვნება ფიზიკურ დაზიანებას, რადგან მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ფიზიკური ავადმყოფობისაგან. მენტალური ტანჯვა იმ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც დაზარალებულს გააჩნია მუდმივი შფოთვა, იმედგაცრუება, შიში და ტანჯვა, რის შედეგადაც ირღვევა მისი ჩვეული ცხოვრებისეული რიტმი.[146]

საექიმო შეცდომის სპეციფიკის გათვალისწინებით, რთულია კონკრეტულად იმის განსაზღვრა, თუ რა განეკუთვნება ქმედების შედეგად დამდგარ მორალურ

---

[143] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 25 იანვარის გადაწყვეტილება საქმე №ას-477-477-2018.

[144] *Wissink H. M., Boom H. W.,* The Netherlands, Non-Pecuniary Loss under Dutch Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 156.

[145] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 25 იანვარის გადაწყვეტილება საქმე №ას-477-477-2018.

[146] *Andoh B.,* Damages for Non-pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 182.

ზიანს. თუმცა ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზით შესაძლებელია დაზუსტდეს ზიანის კატეგორია. ამასთან, მორალური ზიანის შემთხვევაში არც იქნება გამართლებული ერთიანი დეფინიციის მსგავსად კონკრეტული ზიანის განსაზღვრა, რადგან ყოველი ახალი შეცდომა პოტენციურად მორალური ზიანის დეფინიციის ახლებურად გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

III. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის მოთხოვნის არსი და საფუძვლები

1. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის მოთხოვნის საფუძვლების ზოგადი მიმოხილვა

არასათანადო მოპყრობა, რაც არ წარმოადგენს მართლზომიერ ქმედებას პაციენტის ჯანმრთელობისათვის ან იწვევს მის სიკვდილს, წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას სამოქალაქო პასუხისმგებლობის წესით.[147]

საექიმო შეცდომის შედეგად დაზარალებული პირების ცხოვრებაზე ზიანი იმდენად რეალურად და ღრმად აისახება, რომ გონივრულია მათთვის შესაფერისი ახსნა-განმარტების, გარანტიებისა და კომპენსაციის მოძიება.[148]

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლები, რათა შემდგომ დეტალური ანალიზით გამოიკვეთოს არსებული რეგულაციის ხარვეზები და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რეკომენდაციები.

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო სამართალში საექიმო შეცდომა წარმოადგენს ბრალეულობის პრეზუმფციის შემთხვევას, რადგან, გავრცელებული მოსაზრებით, შეუძლებელია ექიმმა წინასწარ გაითვალისწინოს ყველა დეტალი.[149] ასევე, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს ზიანის შემთხვევითობა და დეფექტის გარდაუვალი ხასიათი, რაც გულისხმობს პაციენტის შესაბამისი სამედიცინო დახმარებით ჯეროვნად მომსახურებას და გამორიცხავს პასუხისმგებლობას.[150] თუმცა, სამეცნიერო განვითარების და ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობის ფონზე ექიმის პასუხისმგებლობა პროპორციულად უნდა გაიზარდოს დამდგარ შედეგთან მიმართებით, რადგან მისთვის მინდობილი სიკეთე წარმოადგენს უპირატეს ღირებულებას. აგრეთვე, გამოსარკვევია ფაქტობრივი გარემოებების მიმართება სხვა ალტერნატიულ შემთხვევებთან - წარმოადგენდა თუ არა შედეგი ობიექტურად გარდაუვალ მოვლენას, თუ მხოლოდ საექიმო შეცდომიდან გამომდინარეობს.

---

[147] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 45.
[148] *Walsh P.,* Medical Error, the Law and Alternative Approaches, Medico-Legal Journal, Vol. 75, Issue 2, 2007, 44.
[149] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 45.
[150] იქვე, 45.

სპეციალური კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მითითებას აკეთებს ზოგადი ანაზღაურების საფუძვლებზე, კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისთვის ან სიკვდილისთვის, ან პაციენტისთვის მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“[151] ამასთან, საყურადღებოა პირთა წრე, რომელსაც მოიცავს დასახელებული ნორმა, რადგან მითითება ჯანმრთელობის დაცვის პერსონალზე საკმაოდ ფართოა და იძლევა მრავალფეროვანი განმარტების შესაძლებლობას. ამავე კანონის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის პერსონალს განეკუთვნება „ექიმი, ექთანი, ფარმაცევტი და სხვა პირები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის რეაბილიტაციასთან, პალიატიურ მზრუნველობასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტები, სამედიცინო და ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერები.“[152]

იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალური კანონი ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძვლებზე ახდენს მითითებას, საჭიროა მათი დეტალური ანალიზი.

საზოგადოდ, დელიქტურ სამართალს სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვის, რისკებისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სამართლიანი გადანაწილების ფუნქცია გააჩნია. სახელშეკრულებო სამართლისაგან განსხვავებით, დელიქტურ სამართალში ვალდებულება წარმოიშობა მხარეთა ნების გარეშე, უფრო ზუსტად, დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ.[153]

სსკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს საერთო საფუძველზე დაყრდნობით.[154] შესაბამისად, დასახელებული სპეციალური ნორმაც მითითებას ახდენს ზოგადი ხასიათის ზიანის ანაზღაურების ნორმებზე. მოცემულ შემთხვევაში, მორალური ზიანის

---

[151] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 103-ე მუხლი.

[152] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მე-3 მუხლის „ც[1]“ ქვეპუნქტი.

[153] *გათლიძე გ.,* ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხივლა, IV გამოცემა, 2015, 17.

[154] *ახვლედიანი ზ.,* ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999, 276.

ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რელევანტურია სსკ-ის 413-ე მუხლი, რადგან კვლევის საგანს წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევები.

მორალური ზიანის ანაზღაურების კერძო შემთხვევას ითვალისწინებს სსკ-ის 413-ე მუხლი, რომელიც ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს პირს, ვის ჯანმრთელობასაც ზიანი მიადგა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად.[155] მორალური ზიანის ანაზღაურებისას განმსაზღვრელია, რომ ზიანი იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი.[156]

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს არეგულირებს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფისას წარმოიშობა არაქონებრივი ზიანი. თუმცა ჯანმრთელობის ყოველი შელახვა apriori არ გულისხმობს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება, თუ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რასაც მოჰყვა სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა. კანონმდებელმა მორალური ზიანის ანაზღაურება, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად დაავიწროვა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევათა წრე.[157]

საყურადღებოა, რომ გარკვეულ ქმედებას შესაძლებელია მოჰყვეს მორალური, სულიერი ტანჯვა, მაგრამ ის ანაზღაურებადია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[158]

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.[159]

---

[155] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 664.

[156] *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 474.

[157] *ბიჭია მ.,* გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, №8, 2017, 85.

[158] იქვე, 79.

[159] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 25 იანვარის გადაწყვეტილება საქმე №ას-477-477-2018.

მეცნიერთა უმეტესობა არ ეთანხმება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გაფართოებას, რადგან მათი აზრით მსგავსი კომპენსაცია სიმბოლური ხასიათისაა და ვერავითარი ეკვივალენტი გამოხატავს მორალური ზიანით წარმოშობილ ტანჯვას, ხოლო კომპენსაციის თანხის ზრდა შექმნის ილუზიას, რომ ფულს შეუძლია გააქროს ტანჯვა.[160] რა თქმა უნდა, ამ მოსაზრების ნაწილი დამაჯერებელია. კომპენსაცია ვერ მოახდენს ზიანის გაქრობას. თუმცა მას შემამსუბუქებელი დანიშნულება გააჩნია და მისი მიზნების გაზვიადება არ არის მართებული.

ამასთან, არამატერიალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რამაც გამოიწვია სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა. გასათვალისწინებელია, რომ დასახელებული წინაპირობების კუმულაციური არსებობა განმსაზღვრელია ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.[161]

პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის საერთო საფუძვლებით ანაზღაურება რელევანტურს ხდის სსკ-ის 412-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო იყო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, დასახელებული ნორმა მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც პასუხისმგებლობის პრინციპის გაფართოებას გამოიწვევს.[162] ის ფაქტი, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირდაპირი ზიანი, მიმანიშნებელია საექიმო შეცდომასა და დამდგარ შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის აქტუალურობაზე.[163]

საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას არსებითია პროცედურის ხასიათის დადგენა. უფრო ზუსტად, პროცედურა გადაუდებელი და დაუგეგმავი ხასიათის იყო, თუ რეგულარული ტიპის მოქმედებებში გამოიკვეთა ექიმის გაუფრთხილებლობა.[164] აღნიშნული კი

---

[160] *Cousy H., Droshout D.,* Belgium, Non-Pecuniary Loss under Belgian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 36.

[161] *ბიჭია მ.,* გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, №8, 2017, 79.

[162] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 652.

[163] *ჰეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო დაწესებულების მიერ ზიანის ანაზღაურება, წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 22.

[164] *Devereux J.,* Medical Law, Second Edition, London, 2002, 156.

გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, რიგ შემთხვევებში ფაქტობრივად შეუძლებელია იმის განსაზღვრა არასწორი ქმედება გამოვლინდა თუ არა ექიმის მხრიდან, რადგან პასუხისმგებლობის საფუძველი შედეგობრივად არსებობს, ხოლო წარმომშობი ქმედების შეფასება წარსულში ხდება.[165]

საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ტენდენცია უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს მორალური ზიანის მიყენების შემთხვევები,[166] ხოლო წარმოშობილ შემთხვევებზე მოხდეს შესაფერისი რეაგირება.

2. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პაციენტის მიერ

ჯანმრთელობის უფლება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა და იგი მოწესრიგებულია სპეციალური კანონებით. ამასთან, ამ უფლების დარღვევით მიყენებული ზიანი იწვევს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას და დაზარალებულს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად.[167]

საექიმო შეცდომის შედეგად დაზარალებული პირისათვის სამოქალაქო სამართლის მექანიზმების ნებაყოფლობით ინიცირება წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს.[168] აგრეთვე, პაციენტის უფლებების აღიარებით დადგენილია ერთ-ერთი უმთავრესი უფლება. საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანისათვის საპროცესო უფლებების ხელმისაწვდომობა და კომპენსაციის მოთხოვნის არსებობა.[169]

---

[165] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 42.

[166] *Zervogianni E.,* On the recovery of non-pecuniary loss in Greece, Revue Hellénique de Droit International,Vol. 64, Issue 1, 2011, 319.

[167] *კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ.,* წიგნი პაციენტებისათვის, „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა", გზამკვლევი, თბილისი, 2011, 116.

[168] *Leflar R. B., Iwata F.,* Medical error as reportable event, as tort, as crime: a tranpacific comparision, Widener Law Review, Vol. 12, Issue 189, 2005, 213.

[169] Patients' Rights in the European Union Mapping eXercise, Final Report, 2016, 22. <https://ec.europa.eu/health/sites/health/files/cross_border_care/docs/2018_mapping_patientsrights_frep_en.pdf> [31.05.2019].

სსკ-ის საფუძველზე, პაციენტს შეუძლია მოითხოვოს საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, რაც მოიცავს მიუღებელ შემოსავალსაც.[170]

შესაბამისად, პაციენტს მიყენებული საექიმო შეცდომის საფუძველზე უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია მორალური ზიანისათვის.[171] საექიმო შეცდომის შემდეგ თუ პაციენტი გადარჩა, მას გააჩნია მორალური ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობა, რაც ნიშნავს, რომ ამ მოთხოვნის უფლება გააჩნია პირადად მას.[172] ანაზღაურების მოთხოვნისას მხარემ უნდა ამტკიცოს ექიმის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ, რაც მოიცავს შეცდომით მკურნალობას, არასწორ სამედიცინო კონსულტაციას, არასწორ დიაგნოსტიკას და სამედიცინო პერსონალის მიერ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებების დარღვევას.[173]

სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისას დაზარალებულს ეძლევა მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. ხსენებული ნორმით დაცული სიკეთე, რომლის ხელყოფაც დაზარალებულის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აჩენს, არის ადამიანის ჯანმრთელობა. მითითებული მუხლით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს. სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში კი უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს დაზარალებულის სხეულს ან მისი ორგანიზმის შინაგან პროცესებს.[174] მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის მიზანშეწონილობა დადგენილია ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული დასახიჩრდა, წარუშლელი დამახინჯება აქვს სახეზე, სრულად ან ნაწილობრივ დაკარგა შრომისუნარიანობა

---

[170] *კვანტალიანი ნ.,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლერბრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, 144.

[171] საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[172] *Halson R.,* The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, Chinese Journal of Comparative Law, Vol. 3, Issue 2, 2015, 9.

[173] *კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ.,* წიგნი პაციენტებისათვის, „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“, გზამკვლევი, თბილისი, 2011, 118-119.

[174] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1268-2018.

და ეზღუდება სოციალური მდგომარეობის აღდგენისა და განვითარების საშუალება.[175]

სსკ-ის 413-ე მუხლის წინაპირობაა, რომ დამზიანებელი სხვა, პასუხისმგებლობის წარმომშობი, საფუძვლიდან გამომდინარე ვალდებული იყოს აანაზღაუროს ზიანი სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. შესაბამისად, დასახელებული ნორმა ავრცელებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მორალურ ზიანზე.[176] დასახელებული მუხლის ფარგლებში კანონმდებელი ზუსტად ადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფარგლებს და მხოლოდ კონკრეტული სიკეთეების ხელყოფისას იძლევა ანაზღაურების შესაძლებლობას.[177]

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საექიმო შეცდომით გამოწვეული მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. დასახელებულ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები, ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, ზიანის შედეგად წარმოშობილი წარუშლელი კვალი, მაგალითისათვის, სხეულის რომელიმე ნაწილის ამპუტაცია, გარეგნული მდგომარეობის უარყოფითად შეცვლა და სხვა.[178]

პაციენტის მიერ საექიმო შეცდომის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება, პირველ რიგში, ეფექტურია პაციენტთა უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.[179]

პაციენტისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება უცხო არ არის არც სხვა ქვეყნის მართლწესრიგისათვის. პირიქით, ამ ტიპის საქმეებისადმი

---

[175] *კვანტალიანი ნ.,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლერბრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, 154.

[176] *რუსიაშვილი გ.,* სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 413, §3, 2. <http://www.gccc.ge/> [01.04.2019].

[177] *ტარტარაშვილი ნ.,* არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019, 192.

[178] *კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ.,* წიგნი პაციენტებისათვის, „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“, გზამკვლევი, თბილისი, 2011, 122.

[179] *Corbett A.,* Regulating Compensation or Injuries Associated with Medical Error, Sydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006, 296.

განსაკუთრებული ყურადღება და მექანიზმები არსებობს იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება მეტად მგრძნობიარე თემას. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში იკვეთება შემთხვევები, როდესაც არასწორი საექიმო ქმედების შედეგად პაციენტს დარჩა მნიშვნელოვანი კოსმეტიკური დაზიანებები, რაც შემდგომ მორალური ტანჯვის საფუძველი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პაციენტის უსაფრთხოებისათვის გამართლებული ქმედება იყო, სამედიცინო მომსახურების გამწევს დაეკისრა დაზარალებულისათვის მორალური ზიანის კომპენსირება.[180]

ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებული მხარის თვალსაზრისით, მორალური ზიანის ანაზღაურება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ეს წარმოადგენს ერთადერთ თანხას, რომელიც დაზარალებულმა შეიძლება მიიღოს ტანჯვისა და ტკივილის კომპენსირებისათვის.[181] იმავე შესაძლებლობას იძლევა გერმანული კანონმდებლობაც, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 847-ე პარაგრაფის თანახმად, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის შესაძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობა.[182] ამასთან, სხეულის, ჯანმრთელობის, თავისუფლების ან სექსუალური თვითგამორკვევის უფლებების ხელყოფის შემთხვევას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც დასახელებული სიკეთეებისათვის ზიანის მიყენების ფაქტებზე შესაბამისი სახით კომპენსირების უფლებას აწესებს.[183]

3. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პაციენტის გარდაცვალებისას

ხშირად მიზეზები და ემოციები რთულად უთავსდება სამართალს, ხსენებული მართლაც ასეა მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევებში.[184] მიუხედავად აღნიშნულისა, სამართლის, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების, ძირითადი

---

[180] კრებული, თემატურად წარმოდგენილი გერმანიის ფედერალური სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებების რეზიუმეთა ერთობლიობა, 6, <http://www.library.court.ge/upload/moraluri%20ziani%20asdasfda.pdf> [27.06.2019].

[181] *Karner E., Koziol H.,* Austria, Non-Pecuniary Loss under Austrian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 7.

[182] *Magnus U., Fedtke J.,* Germany, Non-Pecuniary Loss under German Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 109.

[183] *Looschelders D.,* Schuldretcht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008, § 576, 188.

[184] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 82.

დანიშნულებაა ადამიანის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მორალური ზიანის ანაზღაურების დამკვიდრება ქართულ კანონმდებლობაში და მისი ამოქმედების მექანიზმების შემუშავება უპირობოდ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.[185]

მიუხედავად იმისა, მატერიალურია თუ არამატერუალურია სიკეთე და ზიანი, სამართალმა თავისი ფუნქციის შესასრულებლად უნდა დაიცვას პირი იმ სიკეთეთა მფლობელობის მდგომარეობაში, რომლებითაც ადამიანი ქმნის და ამტკიცებს ადამიანურ ბედნიერებას. შესაბამისად, სამართლის ძირითადი დანიშნულებაა, დაიცვას პირი ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთის ხელყოფისაგან.[186]

თუმცა, ჯანდაცვის სისტემისათვის საექიმო შეცდომის შედეგად დამდგარი უსიამოვნო ინციდენტები არის მთავარი პრობლემა, საექიმო შეცდომის შედეგად დამდგარი ზიანი ექცევა დელიქტური სამართლის ფარგლებში,[187] რადგან სტატისტიკურად მსგავსი ქმედების შედეგად შემთხვევების ნახევარი სიკვდილით სრულდება.[188]

აგრეთვე, საექიმო შეცდომის შედეგად პაციენტის გარდაცვალება შეტანილია სიკვდილის ექვს მთავარ საფუძველს შორის.[189] სტატისტიკურად, ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაშიც საბოლოო შედეგი გამოხატულია, როგორც პაციენტის ნაადრევი, დაჩქარებული სიკვდილი.[190] აღსანიშნავია, რომ საექიმო შეცდომებისა და პაციენტთა დაზიანების პრევენციის ღონისძიებები ყველაზე უკეთ ავსტრალიაში, გაერთინებულ სამეფოსა და აშშ-ში ხორციელდება.[191]

---

[185] *თოფჩიშვილი მ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1999, 63.

[186] *ბიჭია მ.,* გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, №8, 2017, 80.

[187] *Williams J.,* No-Fault Medical Malpractice Compensation: Policy Considerations for Design of a Demonstration Project, Washington, 2007, 2.

[188] *Sharbafchi-Zadeh N., Karimi S., Taleghani Y. M., Vejdani M.,* Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017, 606.

[189] *Harris C. T., Peeples R.,* Medical Errors, Medical Malpractice and Death Cases in North Carolina: The Impact of Demographic and Systems Cariables, 2.
<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2469959> [29.05.2019].

[190] *Outerbridge T.,* Building Systemic Models for Medical Error Reporting, Health Law Journal, Vol. 12, 2004, 276.

[191] *გეგელაშვილი გ.,* პაციენტთა უსაფრთხოება და სამედიცინო დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებები, შუალედური ანგარიში, თბილისი, 2012, 4.

სიცოცხლის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, შელახვით წარმოიშობა დელიქტური ვალდებულება, რომელიც სსკ-ის 1006-ე მუხლითაა განმტკიცებული და წარმოშობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს არამატერიალური ზიანი, მისი ანაზღაურება კანონით არაა გათვალისწინებული.[192]

არსებობს სხვადასხვა შემთხვევა, როდესაც პაციენტისათვის არასრულფასოვნად გაწეულმა სამედიცინო მომსახურებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სხვათა სამართლებრივი სიკეთეებზე,[193] ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს პაციენტის გარდაცვალება.

უმნიშვნელოვანესია, რომ პიროვნების გარდაცვალების ფაქტის, როგორც ახლობლისათვის ფსიქიკური გზით გადაცემადი მორალური ზიანის, დამოუკიდებელი საფუძველი არ იკვეთება კანონმდებლობაში, რაც ე.წ. შოკურ ზიანს მოიცავს. [194] მორალური ზიანის ანაზღაურების დაცვის ღირს სიკეთეთა წრეში არ არის გათვალისწინებული არც ისეთი დარღვევები, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება, რაც პირდაპირ დაზარალებულის კომპენსაციის პრინციპით არის გამართლებული.[195] ცალსახაა, რომ გარდაცვლილი პირი თავად ვერ განიცდის მორალურ ზიანს, მაგრამ მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი გადაცემულია მის ახლობელ ადამიანებზე.[196] საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქართულ კანონმდებლობაში საექიმო შეცდომის შედეგად პაციენტის გარდაცვალებისას, მორალური ზიანის ანაზღაურება არც ერთი გზით არ არის მიღწევადი არც ადმინისტრაცული და სისხლისსამართლებრივი წესით საქმის წარმოებისას.[197] პაციენტის გარდაცვალებისას მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა, შესაძლოა ითქვას, რომ ერთგვაროვანია, რადგან

---

[192] *ბიჭია მ.,* კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2016, 355-356.

[193] *Jackson E.,* Medical Law, Text, Cases, and Materials, Fourth Edition, Oxford, 2016, 129.

[194] *ქათამაძე ნ.,* არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, სამართალი და მსოფლიო, №9, 2018, 90.

[195] *Säcker F. J., Rixecker R.,* Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht Allgemeiner Teil, 5. Auflage, München, 2007, §28, 482.

[196] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 94.

[197] Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018, 18.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ახლობლის სიცოცხლის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება გამორიცხულია, რადგან დასახელებული სიკეთე პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.[198]

ქართული კანონმდებლობა ამ საკითხში იმეორებს გერმანული კანონმდებლობის მიდგომას, რომელიც პირის გარდაცვალების შემთხვევაში კონცენტრირებულია მხოლოდ მატერიალური დანაკარგების ანაზღაურებაზე და მესამე პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას გამორიცხავს.[199]

პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ახლობლებზე გადასვლის გამორიცხვის მომხრენი ამ მოსაზრებას ამყარებენ კომპენსაციის ლიმიტირებული ხასიათით.[200] თუმცა ამ მოსაზრების საპასუხოდ გასათვალისწინებელია საექიმო შეცდომის სპეციფიკა, რაც პაციენტის გარდაცვალების საფუძველი ხდება და არამართლზომიერი ქმედება, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი წესით „დაუსჯელი" რჩება მორალური ზიანის გამორიცხვის შემთხვევებში.

პაციენტის გარდაცვალებისას მორალური ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის კიდევ ერთი არგუმენტი არის ნორმალურ ცხოვრებისეულ შემთხვევებში რისკის არსებობა. კომპენსაციის კულტურა კი ცხოვრებისეული რისკებისადმი არსებულ საფრთხეს ზრდის.[201] მართლია, ცხოვრებისეული რისკებისადმი დამოკიდებულების ცვლილება მოჰყვება კომპენსირების შესაძლებლობას, მაგრამ მისი გამორიცხვაც მსგავს შედეგს გამოიწვევს უარყოფით ასპექტში. ამიტომ სჯობს, სამედიცინო მომსახურების გამწევს გააჩნდეს რისკისადმი ფრთხილი და პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება, ვიდრე ნეიტრალურად იყოს განწყობილი მისი წარმოშობისადმი.

---

[198] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმე №3კ-1218-01; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-105-545-06; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-14-1466-05;

[199] *Magnus U., Fedtke J.,* Germany, Non-Pecuniary Loss under German Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 114.

[200] *Palmer V. V.* (ed.), The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015, 181.

[201] იქვე, 181-182.

აღნიშნული კი შემაშფოთებელია იმ თვალსაზრისით, რომ ხარისხის პერსპექტივიდან გამომდინარე, ანაზღაურების მოთხოვნის არარსებობას განსაკუთრებული გავლენა აქვს სამედიცინო შეცდომების წარმოქმნაზე.[202] იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო პერსონალისთვის შეცნობადი იქნება მორალური ზიანის პაციენტის ახლობლების მიერ მოთხოვნის შეუძლებლობა, საფრთხე ექმნება მათი საქმიანობის ხარისხის შემცირებას.

სამეცნიერო დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად და მისი მოთხოვნის უფლება გააჩნია „უფლებამოსილ პირს", ე.ი. იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის არაქონებრივი უფლებებიც შეილახა.[203]

სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში ადამიანის სიცოცხლე არ არის მოხსენიებული დაცულ სიკეთედ, რის გამოც გარდაცვლილის ახლობლებს არ ენიჭებათ უფლება მოითხოვონ ამით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის ფულადი კომპენსაცია.[204] უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, ქართული რეალობაში არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული გამოწვეულია ახლობლის გარდაცვალებით, რადგან მსგავსი ტიპის ანაზღაურება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით.[205] გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პაციენტის გარდაცვალებისას ახლო ნათესავებისათვის მორალური ზიანის წარმოშობა „უპირობოდ" მიიჩნევა და წარმოადგენს დაუყოვნებლივ შოკურ რეაქციას, რომელიც ჩვეულებრივ, ნორმალურ რეაქციასთან შედარებით, იწვევს გართულებებს.[206] საექიმო შეცდომის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება მკაცრად პირად უფლებათა კატეგორიაში მოიაზრება.[207]

მართალია, სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების

---

[202] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 194.

[203] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისთვის, სამართალი, 1-2, 2004, 43.

[204] *რუსიაშვილი გ.,* სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 413, §6, 3. <http://www.gccc.ge/> [01.04.2019].

[205] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1268-2018

[206] *Jackson M. R., Powell L. J. (eds.)* Professional Negligence, Fourth Edition, London, 1997, 599.

[207] Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018, 10.

შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილის ნათესავებს, ამ ნორმის საფუძველზე, არ შეუძლიათ, მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება ოჯახის ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის,[208] მაგრამ საყურადღებოა მორალური ზიანის ანაზღაურების რეალური მიზანი და შესაძლებლობა, რაც დაზარალებულისათვის უმნიშვნელოვანესია. ამასთან, გასათვალისწინებელია დელიქტური სამართლის მიზანი, რომლის თანახმადაც, ზიანის მიმყენებელს გააჩნია კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.[209] დასახელებული მიზანი კი მორალური ზიანის მიყენების შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალებისას განუხორციელებელი რჩება.

პაციენტის გარდაცვალების შემთხვევში ფაქტობრივად განუხორციელებელი ხდება მისი ახლობლების საპროცესო უფლებები, რაც მორალური ზიანის კონკრეტიზაციის პირობებში შეუძლებელს ხდის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.[210]

ანაზღაურებადი ზიანის კატეგორიზაცია არ ნიშნავს, რომ კონკრეტული ზიანი წარმოადგენს სამაგალითო სახეს და მისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სანქცია.[211] ზიანის მიყენების შემთხვევა არ უნდა დარჩეს შესაბამისი რეაგირების გარეშე იქნება ეს მატერიალური თუ მორალური სახის ზიანი და მხოლოდ ის ფაქტი, რომ საექიმო შეცდომის შედეგად პაციენტი გარდაიცვალა, არ გამორიცხავს იურიდიული კატეგორიის ზიანის არსებობას. შესაბამისად, საჭიროა მოთხოვნის ტრანსფორმაცია და ზიანის ანაზღაურების უფლების ახლობლებისათვის მინიჭება.

ცალსახაა, რომ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობა არ გულისხმობს ყოველგვარი უსიამოვნებისთვის ფულადი ანაზღაურების დაწესების მიზანშეწონილობას. პირიქით, მორალური ზიანის თითოეული ტიპიური შემთხვევა შეფასებულ უნდა იქნეს მოქმედი სამართლის სისტემის საერთო მიზნების თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ის ზიანი, რაც დაცვის ღირსი სიკეთის შელახვისაგან წარმოშობილ მორალური ზიანს

---

[208] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1268-2018.

[209] *Furrow B. R.,* Iatrogenesis and Medical Error: The Case for Medical Malpractice Litigation, Law, Medicine & Health Care, Vol. 9, Issue 5, 1981, 5.

[210] Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018, 26.

[211] *Halson R.,* The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, Chinese Journal of Comparative Law, Vol. 3, Issue 2, 2015, 8.

შეადგენს.[212] თუმცა ეჭვგარეშეა, რომ საექიმო შეცდომის საფუძველზე პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში პაციენტის ნათესავზე მიყენებული ტანჯვა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ექცევა მორალური ზიანის ფარგლებში და წარმოადგენს დაცვის ღირს ინტერესს.

მორალური ზიანი არის არა მდგომარეობის ზნეობრივი შეფასება, არამედ სრულად რეალური ვნება, რომელიც ხშირად უფრო მტკივნეულია, ვიდრე მატერიალური ზიანი,[213] აღნიშნული კი მნიშვნელოვნად ამძაფრებს ნათესავის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობის დასაბუთებულობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მის პოზიტიურ ვალდებულებას, შეუქმნას მოქალაქეებს გამართული ჯანდაცვის სისტემა, რაც გავლენას ახდენს არასწორი სამედიცინო ქმედებების არსებობაზე, მას მაინც შეუძლია ამ პოზიტიური ვალდებულების შესრულება სხვა ფორმით. უფრო ზუსტად, მოცემულ შეთხვევაში კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობის შექმნით.[214]

მართალია, კომპენსაციის დაწესებით დაზარალებულს ვერ აღუდგება პირვანდელი მდგომარეობა და კომპენსაცია ნაკლები იქნება იმ ზიანზე, რაც იარსებებს, მაგრამ ის თავისთავად მაინც უნდა ჩაითვალოს დასაბუთებულად.[215] მიუხედავად კომპენსირების საჭიროებისა, არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ მიდგომისაგან.

გაბატონებული მოსაზრებით, დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევები შემოფარგლულია უშუალოდ დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანით და, შესაბამისად, სულიერი ტკივილის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ მიენიჭება ისეთ პირს, რომელიც თავად არ დაზარალებულა დელიქტის შედეგად და არ გააჩნია სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება.[216]

---

[212] *რცხილაძე გ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928, №4, 4.
[213] *რცხილაძე გ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928, №4, 2.
[214] Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018, 17.
[215] იქვე, 18.
[216] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე №ას-1185-1105-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული დარდი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია, საკმარისი წინაპირობა არაა გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთან, მსგავს შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია გამონაკლისის სახით, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს და, რომელიც, ამის გამო, შეიძლება, გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან.[217]

საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, სიცოცხლის უფლების არსებითი ხასიათიდან გამომდინარე, მისი დარღვევის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სამართლიანი დაცვის საშუალების ფორმა.[218]

გარდაცვლილი პაციენტის ახლობლისათვის კომპენსაცია არ წარმოადგენს არსებით ინტერესს, მაგრამ საექიმო შეცდომების შემცირების ტენდენციისა და დარღვეული უფლების აღდგენისათვის საჭიროა ამ მიმართულებით მოქნილი მექანიზმის შექმნა.[219] მხოლოდ მითითება მორალური ზიანის უპირობოდ არსებობის შესახებ[220] და საკანონმდებლო შეზღუდვით ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა გაუმართლებელია რიგი მიზეზების გამო.

ვალდებულების დარღვევა იწვევს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც გამოიხატება სამართალდამრღვევისთვის განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით. კერძოდ, ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით, რაც ხორციელდება, როგორც დაზარალებულის, ისე საზოგადოების სასარგებლოდ.

---

[217] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №ას-593-568-2016.

[218] Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018, 19.

[219] *Krause H. J.,* Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001, 198.

[220] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 25 იანვარის გადაწყვეტილება საქმე №ას-477-477-2018.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოებრივი იძულების ერთ-ერთი ფორმა, რაც სამართალდამრღვევის მიმართ ქონებრივი სანქციის დაწესებით სამართალდამრღვევისათვის იწვევს არახელსაყრელი ქონებრივი შედეგების დადგომას და მიმართულია დაზარალებულის დარღვეული უფლებების აღდგენისაკენ.[221]

პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ პაციენტის გარდაცვალებისას ზიანის მიმყენებლისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის დაკისრება ასახავს აღდგენითი სამართლიანობის გავლენას.[222]

წმინდა ფინანსური თვალსაზრისით საექიმო შეცდომის მიმყენებლისათვის უმჯობესია პაციენტის გარდაცვალება ვიდრე პაციენტის გადარჩენა, რადგან თავს აარიდებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.[223] კომპენსაცია ქმნის ერთგვარ ფინანსურ შემაკავებელ ბარიერს.[224] საქმე ისაა, რომ ამ გარემოებით ყოველთვის უნდა არსებობდეს ზიანის კომპენსირების საკანონმდებლო შესაძლებლობა.[225] ამასთან, ის ფაქტი, რომ ექიმი სამოქალაქოსამართლებრივი წესით აღარ იქნება დამდგარ შედეგზე პასუხისმგებელი, წარმოადგენს ზიანის კომპენსირების ერთგვარ „წამახალისებელ“ ხარვეზს, რადგან ფაქტობრივად ექიმისათვის ფინანსური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესაძლებობას იძლევა.

მორალური ზიანის კომპენსირების ფარგლებში ზიანის მიმყენებელს აქვს სამართლიანობის დაცვის შესაძლებლობა.[226] აღნიშნული კი ცალსახად ერთმევა გარდაცვლილი პაციენტის ახლობლებს, რომელთაც ისეთივე დაცვის ღირსი ინტერესი შეელახათ მორალური ზიანის მიყენებით, რაც პაციენტს შეელახებოდა ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ტანჯვის სახით.

---

[221] *ქოჩაშვილი ქ.,* ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, 1, 2009, 80.

[222] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 48-49.

[223] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 88.

[224] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 59.

[225] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 88.

[226] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 49.

მორალური ზიანის კომპენსირება გამართლებულია იმ საფუძვლითაც, რომ სახელმწიფომ დაზარალებულის უფლებები მიიღოს როგორც მნიშვნელოვანი და შეეცადოს მათ დაცვას, ასევე, ზიანის მიმყენებს შეექმნას განცდა, რომ მისი ქმედებები იმსახურებს დამატებით პასუხისმგებლობას.[227] აგრეთვე, ზიანის მიმყენებელი თავადაც განიცდის გარკვეულ პრევენციული ხასიათის ფინანსურ დანაკლისს, რაც შემდგომი ქმედებებისაგან თავის არიდების სტიმულაციას შექმნის.[228] ცალსახაა, რომ ზიანის მიმყენებლისათვის ფინანსური სანქცია წარმოადგენს იმ ტიპის ზეწოლას, რომელიც მასზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს. შესაბამისად, მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი მნიშვნელოვნად შეიცვლება, რაც დადებითად აისახება სამომავლოდ მის მიერ შესრულებულ სამედიცინო პროცედურებზე. გარკვეული ფინანსური სანქცია საექიმო შეცდომის მიმყენებლის საქმიანობაზე დადებით ეფექტს მოახდენს, რადგან მას მუდმივად ექნება პასუხისმგებლობის განცდა და ყურადღებას გაამახვილებს პაციენტებისა და მისი ახლობლების მატერიალური და არამატერიალური სიკეთეების დაცვაზე.

გარდაცვლილი პაციენტის ახლობლისათვის კომპენსაციის მიღება არ წარმოადგენს დაზარალებულის საჭიროებას. არამედ სუბორდინაციული დანიშნულება გააჩნია და სიმბოლური ხასიათისაა.[229] აღნიშნული კი გამომდინარეობს ხელყოფილი სიკეთის ხასიათიდან, რადგან დაზარალებულის მიერ განცდილი ტანჯვა ნებისმიერ შემთხვევაში აღემატება ფინანსურ კომპენსაციას მისი არამატერიალური ხასიათის გამო, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს მისი კომპენსირების საჭიროებას.

საექიმო შეცომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის აღიარება ხელს შეუწყობს მარეგულირებელი ინიციატივების იმპულსს, რომელიც, პირველ რიგში, დადებითად აისახება პაციენტების ჯანმრთელობაზე.[230] იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო პერსონალი სრულფასოვნად გაიაზრებს მიყენებული ზიანის სიმძიმეს და განიცდის შესაბამის ფინანსურ დანაკლისს, მათი პრაქტიკა ამ

---

[227] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 55.
[228] *Visscher L.,* Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014, 45.
[229] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 59.
[230] *Corbett A.,* Regulating Compensation or Injuries Associated with Medical Error, Sydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006, 270.

მიმართულებით გაუმჯობესდება. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საექიმო შეცდომის მიმყენებლებს მუდმივად ექნებათ პასუხისმგებლობის შეგრძნება. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის შეგრძნების გაზრდისათვის მხოლოდ სამოქალქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ კმარა, მაგრამ საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება და პრეცენდეტების შექმნა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ პრაქტიკულ საქმიანობას.

ანაზღაურების შედეგად, რა თქმა უნდა, შეუცვლელი სიკეთე ისევ დაზიანებული რჩება, მაგრამ დაზარალებულისათვის ფულადი კომპენსაციის მინიჭება ზიანის მიმყენებელის მხრიდან არსებითი ნაწილის დაფარვის ერთგვარი მცდელობაა.[231] ამასთან, მორალური ზიანის პაციენტის ახლობლებისათვის ანაზღაურების შემთხვევაში ზიანის კომპენსირება ხდება მატერიალური ზიანისაგან დამოუკიდებლად. უფრო ზუსტად, მატერიალურად ზიანი გარდაცვლილის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს მიადგა, მაგრამ მისი გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი და ტანჯვა მის ახლობლებს. შესაბამისად, ამ ტიპის ანაზღაურების შემთხვევებში მატერალური ზიანისაგან დამოუკიდებლად დგება მორალური ზიანის მიყენება, რაც იმაზე მძაფრი კატეგორიაა, ვიდრე პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანება.

ასევე, გასათვალისწინებელია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პაციენტის ახლობლისათვის მინიჭებული უფლება. „პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, ექიმს, ექთანს, მედიცინის სხვა მუშაკს ან სამედიცინო დაწესებულებას უჩივლოს სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციაში, ჯანმრთელობის დაცვის მართვის ორგანოში, სასამართლოში, ან დავის გადამწყვეტ სხვა ორგანოში.“[232] შესაბამისად, ამ ნორმაზე დაყრდნობით პაციენტის ახლო ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია სასამართლოსთვის მიმართვის ზოგადი უფლებამოსილება, მაგრამ აღნიშნული უფლება შეზღუდულია მორალური ზიანის ანაზღაურების სპეციფიკით, რომელიც მხოლოდ პაციენტს ანიჭებს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. ვფიქრობ, მორალური ზიანის მარეგულირებელი ნორმის დახვეწის შემთხვევაში კუმულაციურად ამ ორი ნორმის მოქმედება მიანიჭებს გარდაცვლილი პაციენტის ნათესავებს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

---

[231] *Visscher L.,* Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014, 44.

[232] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 104-ე მუხლი.

გარდა ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და გავრცელებული მოსაზრებებისა, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და დაასკვნა, რომ გარდაცვლილი პირის ცოცხლად დარჩენილი ნათესავის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების არარსებობა ქმნის კონვენციის მე-2 მუხლით დაცული უფლების პროცედურულ დარღვევას.[233]

საყურადღებოა ჩეხეთის კანონმდებლობით დადგენილი შესაძლებლობა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ცალსახად არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული, მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა იარსებებს სპეციალური საკანონმდებლო აქტის - სტატუტის არსებობის შეთხვევაში.[234] შესაძლებელია, საექიმო შეცდომით მორალური ზიანის მიყენების შემთხვევაში მსგავსი ტიპის რეგულაციის შემოღებაც, რაც მხოლოდ ამ სპეციფიკის ზიანისათვის იქნება მოქმედი და შესაბამისი დაჩქარებული პროცედურებით პაციენტების დაცვის სტანდარტს აამაღლებს.

არაპირდაპირი ხელყოფისას, კერძოდ, მორალური ზიანის მესამე პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მხოლოდ გამონაკლისის სახით შესაძლებელია მისი შერაცხვა.[235] უფრო ზუსტად, მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება შეზღუდულ ჭრილშია მოქცეული, მაგრამ პირის უფლებების სერიოზული დარღვევისას საჭიროა მოქნილი ანაზღაურების სისტემის არსებობა.[236]

ქართული კანონმდებლობის მსგავსად, პოლონეთის კანონმდებლობაც მხოლოდ ისეთ კონკრეტულ შემთხვევებში იძლევა მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. მიუხედავად აღნიშნულისა, პაციენტის უფლებების დაცვას ამ ქვეყნის

---

[233] Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018, 19.

[234] *Vitkova K.,* Guidelines of the Czech Supreme court relating to compensation for non-pecuniary loss as a "trendsetter"? Common Law Review, Vol. 14, 2017, 41.

[235] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, *დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ.* (თარგმანი), თბილისი, 2014, 127.

[236] *Brox H., Walker W. D.,* Allgemeiner Teil des BGB, 32. Auflage, München, 2008, §29, 18-19.

კანონმდებლობა და პრაქტიკა მაქსიმალურად ცდილობს. საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის სპეციალურ სამართლებრივ მექანიზმებს ქმნის და სპეციალური კანონით არეგულირებს დაზარალებულთა კომპენსაციის უფლებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სპეციალური კანონებით, მათი სპეციფიკური სფეროს რეგულირებიდან გამომდინარე, შედარებით ნათლად და არაორაზროვნად ხდება ამ ტიპის საკითხების რეგულირება.[237] საექიმო შეცდომისა და მორალური ზიანის ხასიათიდან გამომდინარე, პოლონეთის მიდგომა მისასალმებელია, რადგან საკითხის ღიად დატოვებას სჯობს, მოხდეს სპეციალურ კანონში მისი რეგულირება და შესაბამისი მექანიზმების დაზარალებულისათვის მინიჭება ისე, რომ არ გაფართოვდეს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. დასახელებული მიდგომა ერთგვარად შუალედური პოზიციაა, რაც დაიცავს დაზარალებულის ინტერესებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ტენდენციის უსაზღვროდ გაფართოებას არ შეუწყობს ხელს.

ავსტრიული მიდგომის თანახმად, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გადადის დაზარალებულის ნათესავებზე და იგივე წესები მოქმედებს, რაც მესამე პირის მიმართ განხორციელებული შოკის შემთხვევებში.[238] შესაბამისად, მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობა დამოკიდებულია მოთხოვნის დასაბუთებასა და რეალურობაზე. მსგავსი მიდგომა იკვეთება საფრანგეთის კანონმდებლობაში. საქმის ფატალური შედეგებით დასრულების შემთხვევაში ნათესავები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება, რაც აისახა მათ ფსიქიკასა და სულიერ ტანჯვაზე.[239] იტალიის კანონმდებლობაც იძლევა პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, თუმცა ერთადერთ სირთულედ ზიანის რეალურობის არსებობის დადასტურება იკვეთება.[240]

---

[237] Patients' Rights in the European Union Mapping eXercise, Final Report, 2016, 131-132. <https://ec.europa.eu/health/sites/health/files/cross_border_care/docs/2018_mapping_patientsrights_frep_en.pdf> [31.05.2019].

[238] *Karner E., Koziol H.,* Austria, Non-Pecuniary Loss under Austrian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 10.

[239] *Galand-Carval S.,* France, Non-Pecuniary Loss under French Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 96.

[240] *Busnelli F. D., Comande G.,* Italy, Non-Pecuniary Loss under Italian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 143.

პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების გამორიცხვის შემთხვევაში დაზარალებულებს ექნებათ უსამართლობის განცდა, რომელიც გამოწვეული იქნება მორალური ზიანის ანაზღაურების შეუძლებლობით. ამასთან, გამოვლენილი პრობლემა, რომ თავად პაციენტის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანით გამოწვეული მორალური ზიანი ანაზღაურებადია და მისი გარდაცვალების შედეგად გამოწვეული მორალური ზიანი არა, ქმნის ადამიანის სიცოცხლის, როგორც სამართლებრივი სიკეთის დაკნინების შთაბეჭდილებას. მსგავსი საკანონმდებლო ხარვეზი კი ცალსახად უარყოფითად აისახება მორალური ზიანის ანაზღაურების ტენდენციებზე.

3.1 პაციენტის გარდაცვალებისას მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სავარაუდო სუბიექტები

პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურებისას დასადგენია ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები. მიუხედავად იმისა, რომ მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება უნდა არსებობდეს პაციენტის გარდაცვალების შემთხვევებში, არ შეიძლება ამ ტიპის ზიანის განზოგადება. კერძოდ, გარდაცვლილი პაციენტის ნებისმიერი ნაცნობი პირის მიერ მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, საჭიროა კონკრეტულ სუბიექტთა წრის დადგენა, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, მოითხოვოს კომპენსაცია, რადგან ამ ტიპის განსაზღვრების გარეშე შესაძლებელია გარდაცვლილ პაციენტთან ნებისმიერი ურთიერთობის მქონე პირმა მოითხოვოს კომპენსაციის მინიჭება. მართალია, მორალური ზიანის მიყენება და ტანჯვის განცდა ნებისმიერ პირს შეიძლება წარმოიშვას პაციენტის გარდაცვალებით, თუმცა ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის ამგვარი გაფართოება არ იქნება მართებული. პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას შემთხვევები, როდესაც კომპენსაცია გადააჭარბებს მორალურ ზიანს იმ კუთხით, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არსებობდეს რამდენიმე სუბიექტისადმი.

მორალური ზიანის პაციენტის ნათესავისათვის ანაზღაურების დაშვებისას საჭიროა დადგინდეს სუბიექტთა წრე, რისთვისაც შესაძლოა ვიხელმძღვანელოთ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც გვთავაზობს პაციენტის ნათესავის განსაზღვრებას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პაციენტის ნათესავი არის „პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის მიხედვით,

აქვს უპირატესი უფლება, მონაწილეობა მიიღოს პაციენტის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში."[241] მსგავს შემთხვევაში შესაძლებელია სსკ-ის 1336-ე მუხლით დადგენილი კანონით მემკვიდრეთა ხუთი რიგის გამოყენება, რომელთა ზიანიც პროპორციულობის მიხედვით უნდა შეაფასოს სასამართლომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით.[242]

სამედიცინო პერსონალის თვალთახედვით, ნებისმიერმა წარუმატებელმა ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგი.[243] შესაბამისად, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გაუმართლებელია საექიმო შეცდომისათვის შერეული ნათესავის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან ამგვარად პასუხისმგებლობის ფაქტორი უსაზღვროდ გაფართოვდება.[244] მაგრამ შესაძლებელია ანაზღაურების უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა დადგენა. მაგალითისათვის, მორალური ზიანის მიზანია, ტკივილისა და ტანჯვის შემცირება, რასთან დაკავშირებითაც ბელგიის კანონმდებლობა გამონაკლისს არ უშვებს მშობლებისა და შვილების დაზიანების შედეგად გამოწვეული მორალური ზიანისათვის.[245] საყურადღებოა პორტუგალიის კანონმდებლობის მაგალითიც, რომლის მიხედვითაც, პირის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გადადის გარდაცვლილის მეუღლეზე, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გარდაცვლილთან და მის შვილზე ან სხვა შთამომავლებზე.[246] პორტუგალიისაგან განსხვავებით, ბელგიაში კომპენსაციის მინიჭება შესაძლებელია ისეთ ცოლ-ქმარზეც, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ არიან, მაგრამ აქვთ ოჯახური დამოკიდებულება. ასევე, მშობლების, შვილების, ბებია, ბაბუის, შვილიშვილებსა და და-ძმებს შორის. შესაბამისად, ყველას, ვისაც გააჩნია შესაძლებლობა, რომ დაამტკიცოს კონკრეტული ურთიერთობის არსებობა და მორალური ზიანის გამოწვევის შესაძლებლობა. მიუხედავად ამგვარი შესაძლებლობისა, ურთიერთობის

---

[241] საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მე-3 მუხლის „ს" ქვეპუნქტი.

[242] *შენგელია რ., შენგელია ე.,* საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2015, 395.

[243] *Cooke J.,* Law of Tort, Fifth Edition, London, 2001, 217.

[244] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, *დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ.* (თარგმანი), თბილისი, 2014, 637.

[245] *Cousy H., Droshout D.,* Belgium, Non-Pecuniary Loss under Belgian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 36.

[246] Civil Code of Portugal, Article 496.

ხასიათიდან გამომდინარე ხდება კომპენსაციის თანხის გაზრდა ან შემცირება.[247] ბელგიის კანონმდებლობის მიდგომა ცალსახად მოქნილი მექანიზმია, თუმცა ქართულ რეალობაში გადატვირთულობიდან გამომდინარე სასამართლოსათვის მსგავსი შეფასებების უფლებამოსილების მინიჭება მნიშვნელოვნად გაართულებს გადაწყვეტილების მიღებას.

ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტების დადგენისას ასევე რელევანტურია მათი რაოდენობა. ერთი და იმავე საექიმო შეცდომის შედეგად შესაძლოა რამდენიმე პირმა განიცადოს მორალური ზიანი. პაციენტის გარდაცვალებამ შესაძლოა რამდენიმე ნათესავზე მოახდინოს ისეთი ძლიერი ფსიქიკური და ემოციური ტანჯვა, რომ რამდენიმე მათგანს გააჩნდეს მორალური ზიანით ხელყოფილი სიკეთის კომპენსაციის ფორმით აღდგენის მოთხოვნა. აღნიშნული კი ცალსახად მძიმე ფინანსური სანქცია იქნება ზიანის მიმყენებლისათვის, რადგან თითოეულისათვის კომპენსაციის გადახდა მნიშვნელოვნად გააფართოებს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, უმჯობესი იქნება კომპენსაციის თანხის დაკისრებისას არსებობდეს პოტენციური დაზარალებულების განსაზღვრის საშუალება და თანხის დაკისრება მათთვის მოხდეს პროპორციულად. ამისათვის კი სასურველია საკანონმდებლო ჩანაწერის არსებობა, რომელიც ნათლად მოგვცემს კომპენსაციის დაკისრების შემთხვევებში სამოქმედო მექანიზმს და კონკრეტულ პირთა წრეს, რომელსაც შესაძლოა მიენიჭოს კომპენსაცია.

მნიშვნელოვანია კომპენსაციის დაზარალებულებზე გადანაწილების მოცულობაც, რადგან რამდენიმე დაზარალებულის შემთხვევაში ნაკლები ალბათობაა იმისა, რომ ყველა მათგანს ერთი და იმავე მოცულობით განეცადა ტანჯვა. დასახელებული საკითხი კი იმდენად მოქნილ მიდგომას საჭიროებს, რომ შეუძლებელია მისი განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში გადაწყვეტილების უმჯობესი იქნება, თუ სასამართლოს მიენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოხდება დაზარალებულთა ზიანის კომპენსირება.

პაციენტის გარდაცვალების შედეგად გამოწვეული ზიანისათვის კომპენსაციის მინიჭებით გამოიხატება მისი ტანჯვისა და სუბიექტური გრძნობების აღიარება

[247] *Cousy H., Droshout D.,* Belgium, Non-Pecuniary Loss under Belgian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 39.

და პატივისცემა.[248] ამასთან, დაზარალებულის დანაკარგის აღდგენისათვის აუცილებელია გამართული მართლმსაჯულების სისტემა და საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლებელს გახდის გაითვალისწინებული იქნეს არსებული ზიანი და ტანჯვა.[249] ასევე, დროთა განმავლობაში შესაძლოა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს გარემოებათა წრის გაფართოება, რისი იგნორირებაც ფაქტობრივად ვერ მოხდება, რადგან მიმდინარე პრაქტიკა საჭიროს გახდის, დარეგულირდეს მსგავსი საკითხები და შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მეტნაკლებად ამოწურავს დასახელებულ საკითხებს.[250]

4. საექიმო შეცდომის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა

4.1. კომპენსაციის მიზანი

მორალური ზიანის ფინანსური კომპენსაცია ყოველთვის საკამათო საკითხთა წრეს განეკუთვნებოდა მისი რთული სპეციფიკიდან გამომდინარე.[251] საზოგადოდ, აღიარებულია, რომ კომპენსაცია უნდა მოიცავდეს ორი სახის ზიანს, პირველი წარმოადგენს იმ მატერიალურ დანაკლისს, რაც დაზარალებულმა განიცადა და რისი მატერიალური გამოხატულების განსაზღვრაც შესაძლებელია. ხოლო მეორე ტიპს წარმოადგენს არამატერიალური (ჰედონიკური) ზიანი, რომლის მონეტიზირებაც შეუძლებელია ხელყოფილი სიკეთიდან გამომდინარე.[252]

ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, ზიანი ყოველთვის ანაზღაურებისაკენ არის მიმართული, რაც რელევანტურია არამატერიალური დანაკარგების შემთხვევაშიც. კერძოდ, ტკივილისა და ტანჯვისათვის ზიანის ანაზღაურებას გააჩნია შესაბამისი ფუნქციები. პირველ რიგში, კომპენსაციის მიზანია, მოიცვას

---

[248] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 96.

[249] *Barmes L.,* Law Reform at the Intersection: Non-pecuniary Loss for Personal Injury, the Law Commission and Judicial Process, Common Law World Review, Vol. 31, Issue 3, 2002, 292-293.

[250] *Andoh B.,* Damages for Non-Pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012, 184.

[251] *Schwitters R.,* Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012, 48.

[252] *Vliamos S., Hatzis A.,* The Assessment of Compensatory Damages for Medical Error by the Greek Courts: An Economic Analysis, The Global Economics of a Changing Environment, 2009, 245.

მთელი ტკივილის არეალი და მაქსიმალურად შეუქმნას დაზარალებულს ზიანის მიყენებამდე არსებული გარემო.[253] არამატერიალური ქონების ხელყოფის შემთხვევებში აღიარებულია, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს ფულადი სახით.[254]

სუბიექტური დანაკარგების გაზომვა და შეფასება შეუძლებელია იმის გამო, რომ მორალური ზიანი ფულადი ტიპის სანქციებით ვერ გამოსწორდება. თუმცა კომპენსაცია, რომელიც დაზარალებულს უქმნის მისი დარღვეული უფლებების გამოსწორების მცდელობის შესაძლებლობას, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა დააზუსტოს სასამართლომ კონკრეტული შემთხვევის რეალურობა და ასახოს შესაბამის თანხებში.[255] განსაკუთრებული პრინციპი მოქმედებს ტკივილისა და ტანჯვის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებში, რადგან ამ დროს ზიანის ანაზღაურება კომპენსაციის ფუნქციის გარდა დაზარალებულის დაკმაყოფილების ფუნქციასაც ატარებს.[256] საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხას ყოველთვის „სიმბოლური მნიშვნელობა“ აქვს, რადგან ვერანაირი თანხა ვერ იქნება მიყენებული ზიანის ადეკვატური.[257] ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით პირს მიენიჭება გარკვეული თანხა კომპენსაციის სახით, წარმოადგენს ერთგვარ პოზიტიურ ქმედებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც გულისხმობს საექიმო შეცდომის აღიარებას და მასზე შესაბამისი რეაგირების მოხდენას. ამასთან, კომპენსაციის დაკისრების გამორიცხვის შემთხვევაში დაზარალებულს ექმნება სამართლიანი პროტესტის შეგრძნება, რომ მისი დარღვეული სიკეთის შეფასება და შესაბამისი სანქციით ზიანის მიმყენებლის ქმედების უმართლობად მიჩნევა არ მოხდა.

მართალია, ზიანის მიმყენებელი ვერ განიცდის იმავე ტანჯვას კომპენსაციის გადახდის გზით, როგორც დაზარალებული მიყენებული ზიანით, მაგრამ ერთგვარი დამსჯელობითი ფუნქცია იკვეთება მოთხოვნის დაკმაყოფილების

---

[253] *Karner E., Koziol H.,* Austria, Non-Pecuniary Loss under Austrian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 7.

[254] *Hütte F., Helbron M.,* Schuldrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, Bremen, 2005, § 951, 371.

[255] *Visscher L.,* Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014, 44.

[256] *Looschelders D.,* Schuldrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008, §874, 279.

[257] კრებული, თემატურად წარმოდგენილი გერმანიის ფედერალური სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებების რეზიუმეთა ერთობლიობა, 7, <http://www.library.court.ge/upload/moraluri%20ziani%20asdasfda.pdf> [27.06.2019].

შემთხვევებში.[258] უფრო ზუსტად, ზიანის მიმყენებელს შეექმნება განცდა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს სამართლისათვის მიუღებელ ქმედებას, რომელსაც მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

ის ფაქტი რომ დამზიანებლის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებულ სულიერ ტკივილს პირდაპირი ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, ორმაგად საყურადღებოს ხდის ფულადი კომპენსაციის მიზანს. თავდაპირველად მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციად არამატერიალური ზიანის გამოსწორება იყო მიჩნეული. თუმცა მორალური ზიანის კომპენსაცია არსებითად განსხვავება მატერიალური ზიანის კომპენსაციისაგან იმით, რომ მას გამოსწორების ფუნქციის გარდა მორალური დაკმაყოფილების ფუნქციაც ენიჭება.[259] შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია, რომ დაზარალებულს შეუმსუბუქდეს განცდები და მიყენებული ზიანი.[260] აგრეთვე, მორალური ზიანის მიმყენებლისათვის კომპენსაციის დაწესება წარმოადგენს ერთგვარ სამოქალაქოსამართლებრივ სასჯელს, რომელიც სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან განსხვავებით მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებს.[261]

იმის გათვალისწინებით, რომ მორალური ზიანის კომპენსაციით დაკმაყოფილების ფუნქცია პირდაპირი მნიშვნელობით გარდაცვლილი პირის მიმართ ვერ განხორციელდება, მნიშვნელოვანია კომპენსაციის პრევენციული ეფექტი.[262] ზუსტად იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია პრევენციის ოპტიმალური დონის ჩატარება, ის უპირატესად პრინციპულად უნდა ატარებდეს ისეთ ხასიათს, რომ მოხდეს დაზარალებულის დანაკარგების მაქსიმალური კომპენსაცია, რაც მოიცავს მორალურ ზიანსაც და მომავლისთვის ჰქონდეს პრევენციული მექანიზმი.[263] პრევენციის თეორია საკმაოდ პირდაპირია. კერძოდ, ზიანის მიმყენებელს აძლევს შესაძლებლობას, რომ გააანალიზოს მისი ქმედება და

---

[258] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 83.

[259] *რუსიაშვილი გ.,* სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 413, §9, 5. <http://www.gccc.ge/> [01.04.2019].

[260] *Palandt O. (Bearbeiter),* Bürgerliches Gesetzbuch, Band 7, 65. Auflage, München, 2006, §4, 300.

[261] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 82.

[262] *ქათამაძე ნ.,* არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, სამართალი და მსოფლიო, №9, 2018, 89.

[263] *Faure G. M.,* Compensation of Non-Pecuniary Loss: An Economic Perspective, European Tort Law, Frankfurt am Main, 2000, 148.

შედეგები. აგრეთვე, ახდენს პოტენციურ დამრღვევებში სწორი ქცევის სტიმულირებას.[264] ბმა ქმედებასა და მათ შემაკავებელ პრევენციას შორის მცირეა, რადგან ფაქტობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, რთულია მსგავსი შემთხვევების განზოგადება.[265] ამასთან, აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ იქნება თვითკმარი საფუძველი, მაგრამ სხვა მიზნებთან კუმულაციურად ქმნის კომპენსაციის გამართლებულობის საფუძველს.

არაკეთილსინდისიერი ქმედების საპასუხოდ კომპენსაციის დაკისრება ყოველთვის ატარებს ე.წ. გამაჯანსაღებელ ფუნქციას, რაც, როგორც ხარისხის კონტროლით, ასევე პაციენტისათვის უფლების აღდგენის მცდელობით მომავალში პოზიტიური ეფექტის მქონე მექანიზმს წარმოადგენს.[266] ზიანის მიმყენებლის ფსიქიკაში კომპენსაცია წარმოადგენს ე.წ. აღკვეთის სანქციას, რაც მომავალში მასზე ფინანსურად იმოქმედებს.[267] თანამედროვე მატერიალიზირებულ სამყაროში ფინანსური დანაკარგი ყოველთვის მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რამდენად მცირეა ის ზიანის მიმყენებლისათვის. ამასთან მიმართებით უნდა გავითვალისწინოთ საექიმო შეცდომის ჩამდენი სუბიექტები და მათი პროფესიული მოვალეობა, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ინტერესში შედიოდეს ზიანის მიყენება. შესაბამისად, ისინი გარკვეული ფინანსური დანაკლისის სანაცვლოდ გამიზნულად არ ჩაიდენენ საექიმო შეცდომას. აღნიშნული რისკი საზოგადოდ შესაძლებელია, მაგრამ საექიმო შეცდომებთან მიმართებით - ნაკლებად.

მატერიალური კომპენსაციის მინიჭება დაზარალებულისათვის წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ვერ უზრუნველყოფს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად აღმოფხვრას, დასაბუთებული და გამართლებულია.[268] კომპენსაციის გადახდა იმ საფუძვლითაა განპირობებული, რომ აუცილებელია პაციენტის ან მისი ახლობლის უსაფრთხოების

---

[264] *Visscher L.,* Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014, 44-45.

[265] *Outerbridge T.,* Building Systemic Models for Medical Error Reporting, Health Law Journal, Vol. 12, 2004, 280.

[266] იქვე, 280.

[267] *Carnwath J., Burrows A., Faber D., Harpum C., Silber S.,* Damages for Personal Injury: Non-pecuniary Loss, The Law Commission, No 257, 1988, 17, <http://www.lawcom.gov.uk/app/uploads/2015/03/lc257_Damages_Personal_Injury_Non-pecuniary_Loss.pdf> [07.07.2019].

[268] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 83.

გაუმჯობესების მიზნით შეფასებული იქნას მათთვის მიყენებული, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი.[269] ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.[270]

მნიშვნელოვანია ე.წ. დაზღვევის თეორია, რომელიც კონცენტრირდება არა იმაზე, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს ზიანის მიმყენებელმა, არამედ იმაზე თუ რამდენი უნდა მიიღოს მსხვერპლმა. იმის გათვალისწინებით, რომ მორალურ ზიანს არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, კომპენსაციის განსაზღვრა უნდა მოხდეს არაპირდაპირი გზით, როგორც ზემოთ აღინიშნა.[271] ამ თეორიის თანახმად, ამოსავალი წერტილი არის დაზარალებული და მისთვის მიყენებული ტანჯვა, რაც, რა თქმა უნდა, შეუფასებელი სიკეთეა, მაგრამ პროპორციულად საჭიროებს განსაზღვრას. მსგავს შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო დგას ამოცანის წინაშე, რომ განსაზღვროს, კომპენსაციის რა რაოდენობა იქნება საკმარისი იმისათვის, რომ დაზარალებულს ხელყოფილი სიკეთე გარკვეულწილად მაინც დაბალანსდეს. აღნიშნული გადაწყვეტილება სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს მისცემს გარკვეულ ბიძგს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის.

მორალური ზიანისათვის კომპენსაციის უფლება ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო დონეზე, რაც, როგორც პრევენციული ღონისძიება, მიზნად დაისახავს კონკრეტული საექიმო შეცდომების რაოდენობის შემცირებას და საბოლოო ჯამში აისახება პაციენტებსა და მათ ახლობლებზე მორალური ზიანის მიყენების შემცირებაზე.[272]

4.2. კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმები საექიმო შეცდომისას

---

[269] *Corbett A.,* Regulating Compensation or Injuries Associated with Medical Error, Sydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006, 293.

[270] *ჰეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო დაწესებულების მიერ ზიანის ანაზღაურება, წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016, 41.

[271] *Visscher L.,* Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014, 46.

[272] *Corbett A.,* Regulating Compensation or Injuries Associated with Medical Error, Sydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006, 260.

პრობლემები ინდივიდუალური დაზიანებებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულ სფეროში მუდმივად განხილვად საკითხთა წრეს განეკუთვნება, რადგან ასეთი საქმეები დაკავშირებულია მოდავე მხარეთა უფლებების პროპორციულ შეფასებასა და გადანაწილებასთან.[273] არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაცია ყოველთვის სუბიექტურია და განსხვავდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან.[274] შესაბამისად, საჭიროებს განსხვავებულ კრიტერიუმებს.

სამოქალაქო კოდექსის რეგულირება მორალური ზიანის შესახებ მოიცავს მხოლოდ ანაზღაურების შესაძლებლობას, მაგრამ არ ხდება მისი განმარტება და მოწესრიგების ზუსტი მექანიზმის შემოთავაზება, რაც ხშირად პრაქტიკული პრობლემების გამომწვევი მიზეზია.[275] სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება მორალური ზიანის კომპენსაცია, რადგან დაკისრების ოდენობის სწორი და თანაბარზომიერი განსაზღვრა საჭიროებს სრული სპეციფიკის გაანალიზებას.[276]

მორალური ზიანის ანაზღაურებისას მნიშვნელოვანია გონივრულობის კრიტერიუმის ხაზგასმა, რადგან ამ ტიპის გადაწყვეტილებებში აუცილებელია გადაწყვეტილების ემოციურად ნეიტრალური ადამიანების ჩართულობა. რთულია ისეთი სრულყოფილება, როდესაც საქმე ეხება სხვა ადამიანის შინაგან განცდებს, მისთვის მიყენებული ფსიქიკური ტანჯვის შეფასებას და დასახელებული ტანჯვის ფულადი ეკვივალენტის დადგენას. თუმცა, დამაბალანსებელი ბერკეტი გონივრულობაა.[277] გონივრულობის კრიტერიუმის დაცვისათვის მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხთა წრე. თუ რაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს კომპენსაციის ოდენობა. ამასთან მიმართებით საინტერესოა ავსტრიული მიდგომა, რომლის თანახმადაც, მოსამართლე ყველა ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილის კომპენსაციისათვის

---

[273] *Glendhill M. C.,* Assessment of Damages for Loss of 'Amenities' of Life: Wise v Kaye and Another, Sydney Law Review, Vol. 13, Issue 4(2), 1963, 297.

[274] *Faure G. M.,* Compensation of Non-Pecuniary Loss: An Economic Perspective, European Tort Law, Frankfurt am Main, 2000, 146.

[275] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, 11.

[276] *კვანტალიანი ნ.,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლერბრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, 156.

[277] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 671.

აფასებს ადამიანის ნორმალურ ემოციურ ცხოვრებას და კონკრეტული მდგომარეობით გამოწვეულ ცვლილებებს.[278]

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზიანის მიმყენებისათვის კომპენსაციის დაკისრება წარმოადგენს დაზარალებულის შინაგანი, ემოციური მდგომარეობის აღდგენის საშუალებას, რისთვისაც აუცილებელია კომპენსაციის სამართლიანად განსაზღვრის კრიტერიუმი.[279] სამართლიანობის კრიტერიუმის გამოვლინებას წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს სრული კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის, მაგრამ კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს ზიანს.[280] შესაბამისად, სასამართლომ კომპენსაციის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის მიდგომა მიყენებული ზიანისადმი.[281]

კომპენსაციის უფლების წარმოშობისათვის და შემდგომში მისი ფინანსური შეფასებისათვის, საჭიროა არსებობდეს ფსიქიკური ავადმყოფობა ან ტანჯვა, რაც გამოიხატება ისეთ მორალურ ზიანში, რაც ნორმალურ რეაქციებთან შედარებით დიდხანს გრძელდება. მორალური ზიანი არ უნდა წარმოიშვას უმიზეზოდ და პაციენტის ახლობლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში საჭიროა არსებობდეს დაზარალებულთან ახლო ურთიერთობა.[282] კომპენსაციის განსაზღვრისას საჭიროა დასახელებული დეტალების სიღრმისეული ანალიზი და მათი სიმძიმის გათვალისწინება.

კომპენსაციის პრინციპის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ზიანის მიყენების და მისი დადგენის შესაძლებლობა.[283] შესაბამისად, მხოლოდ საექიმო შეცდომის დადგომა არ არის საკმარისი საფუძველი კომპენსაციის დაკისრებისათვის, რადგან აუცილებელია მიყენებული ზიანი დასტურდებოდეს შესაბამისი

---

[278] *Karner E., Koziol H.,* Austria, Non-Pecuniary Loss under Austrian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 12.

[279] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 672.

[280] *Cousy H., Droshout D.,* Belgium, Non-Pecuniary Loss under Belgian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 33.

[281] *Joussen J.,* Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Jena, 2008, §1101, 376.

[282] *Magnus U., Fedtke J.,* Germany, Non-Pecuniary Loss under German Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, *Rogers W. V. H.* (ed.), Wien, 2001, 111.

[283] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 88.

საექსპერტო დასკვნით და ზიანის მიმყენებლისათვის საჭირო იყოს მის სანაცვლოდ ფულადი სანქციის დაკისრება.[284]

კომპენსაციიის დაკისრებისას ცენტრალური საკითხია ის, თუ როგორი კომპენსაციის სქემა უზრუნველყოფს სამართლიან და ეფექტურ ანაზღაურებას მათთვის, ვინც დაზიანდა საექიმო შეცდომის შედეგად.[285] ამასთან, აუცილებელია, რომ საექიმო შეცდომის ჩამდენ პირს დაეკისროს რაციონალური თანხა, რომელიც ბენეფიტის სახით იქნება დაკმაყოფილებული დაზარალებულისათვის. ამისათვის კი საჭიროა, თანაბრად შეფასდეს ზიანის მიმყენებლის ქმედება და დამდგარი შედეგი.[286]

საექიმო შეცდომის სამართლებრივი სტანდარტის განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია მტკიცებულებების დადგენის ეტაპი, ზიანის დასაბუთების აუცილებლობა და მოპასუხის მიერ ქმედების განხორციელებისას დადგენილი ნორმების დაუცველობის საკითხი.[287] აღნიშნული კი თავისთავად გავლენას ახდენს კომპენსაციის განსაზღვრის ეტაპზე, რადგან ქმედებისა და შედეგის სიმძაფრე მნიშვნელოვნად ზრდის კომპენსაციის რაოდენობას.

ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას საჭიროა კონკრეტულად გამოიკვეთოს ის კრიტერიუმები, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.[288] აგრეთვე, კომპენსაციის დაკისრებისას განმსაზღვრელია, რომ კომპენსაციამ მეტწილად მაინც უნდა დაფაროს მიყენებული ზიანი,[289] რაც მორალური ზიანის შემთხვევაში პირდაპირი გაგებით შეუძლებელია, მაგრამ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ამ პრინციპით და შესაბამისად შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები.

---

[284] *Walsh P.,* Medical Error, the Law and Alternative Approaches, Medico-Legal Journal, Vol. 75, Issue 2, 2007, 46.

[285] *Corbett A.,* Regulating Compensation for Injuries Associated with Medical ErrorSydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006, 260.

[286] *Faure G. M.,* Compensation of Non-Pecuniary Loss: An Economic Perspective, European Tort Law, Frankfurt am Main, 2000, 148.

[287] *Dickens B. M.,* Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003, 111.

[288] *ბარაბაძე ნ.,* მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 2004, 80.

[289] *Halson R.,* The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, Chinese Journal of Comparative Law, Vol. 3, Issue 2, 2015, 14.

მორალური ზიანის ანაზღაურებისას შესაძლებელია ქონებრივი მდგომარეობების გათვალისწინება. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურების არაფულად შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს.[290] ზიანი, რომლის უარყოფითი შედეგები დაზარალებულის სულიერ ტანჯვასა და განცდებში გამოიხატება, ვერ აღდგება ქონებრივი სფეროს გამოყენებით. მართალია, ამ შემთხვევაში შემცირდება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა დაზარალებულის სულიერი თუ ზნეობრივი ტანჯვის კომპენსაციის ხარჯზე, მაგრამ პასუხისმგებლობის ეს ფორმა ვერ იქნება ზიანის პროპორციული, რადგან ამ ფორმის ზიანის შეფასება შეუძლებელია.[291] რა თქმა უნდა, არ არსებობს მარტივი ფორმულა, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობას იმ ტანჯვის, ფუნქციის დაკარგვის, კეთილდღეობის დაკარგვის ან სიკვდილისათვის. ეკონომისტები, რომლებიც საზომად ბაზრის მითითებებს იღებენ, მორალური ზიანის უარყოფას ცდილობენ ღირებულების არარსებობის გამო.[292] თუმცა კომპენსაციის განსაზღვრის სირთულის გამო მსგავსი გადაწყვეტილება ცალსახად ირაციონალურია. ის ფაქტი, რომ კომპენსაციის განსაზღვრა დამატებით სირთულეს წარმოშობს, კომპენსაციის განმსაზღვრელი ორგანოსათვის არ ნიშნავს, რომ დაზარალებულის ინტერესის უგულებელყოფა უნდა მოხდეს.

მორალური ზიანის განსაზღვრისას სასამართლომ არ უნდა უარყოს კომპენსაცია იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოჰყვება დაზარალებულის გამდიდრება.[293] კერძოდ, რიგ შემთხვევებში დაზარალებულისათვის ირელევანტურია ფინანსური დანამატი, რადგან მისი ფინანსური მდგომარეობისათვის არ არის საჭირო დამატებითი კომპენსაცია, მაგრამ ამ მოცემულობაში უნდა მოხდეს კომპენსაციის მიზნების გათვალისწინება. კერძოდ, ის, რომ კომპენსაცია დაზარალებულს ენიჭება არა იმ მიზეზით, რომ დაზარალებულის ფინანსური წახალისება მოხდეს არამედ იმ საფუძვლით, რომ მოხდა მისი ჩაუნაცვლებელი სიკეთის ხელყოფა, რაც სხვა ალტერნატიული

---

[290] *თოფჩიშვილი მ.,* მორალური ზიანის ანაზღაურება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1999, 63.

[291] *ბარამიძე ნ.,* მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2005, 67.

[292] *Halson R.,* The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, Chinese Journal of Comparative Law, Vol. 3, Issue 2, 2015, 15-16.

[293] *Stolker C. J. J. M.,* The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999, 88.

მექანიზმით ვერ ანაზღაურდება, ხოლო ქმედების შეუფასებლობით შესაძლებელია უმართლობის წახალისება და დაზარალებულის სიკეთის ხელყოფის უგულებელყოფა, რაც ცალსახად გაუმართლებელია.

იაპონიაში საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის განსაზღვრა, როგორც წესი, ხდება სასამართლოს მიერ გამოყენებული სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით. კერძოდ, სასამართლო კონკრეტულად აფასებს საექიმო შეცდომის სიმძაფრეს და გამოვლენილ შედეგს. ასევე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაზარალებულისათვის ფინანსური კომპენსაცია.[294] საბერძნეთის კანონმდებლობის თანხმად, მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[295] მიუხედავად ამისა, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლო კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით აფასებს დამდგარ ზიანს და ახდენს მის „მონეტიზირებას."[296] კერძოდ, პირის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის თანხა შესაძლოა დაინიშნოს დაზარალებულის ოჯახის წევრების სასარგებლოდ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განიცდიან შფოთს და ფსიქიკურ ტკივილს.[297]

მიუხედავად მსგავსი მიდგომისა, არსებობს ქვეყნები, სადაც სკეპტიკურად არიან განწყობილი მორალური ზიანის ანაზღაურებისადმი. შვედეთში ხშირად განხილვის საგანია მორალური ზიანის ანაზღაურება მისი არამატერიალური ხასიათიდან გამომდინარე, რადგან დათვლადი არ არის ხელყოფილი სიკეთე. ასევე, შეუძლებელია ხელყოფილი სიკეთის მატერიალური შესატყვისის შესაბამისად გააზრება.[298]

შესაბამისად, სხვადასხვა მართლწესრიგის ქვეყნებში განსხვავებულადაა მოწესრიგებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი. თუმცა, გავრცელებული რეგულაციებითა და პრაქტიკით დადგენილია, რომ საექიმო შეცდომის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის

---

[294] *Leflar R. B, Iwata F.,* Medical error as reportable event, as tort, as crime: a tranpacific comparision, Widener Law Review, Vol. 12, Issue 189, 2005, 200.
[295] Civil Code of Greece, Article 299.
[296] *Vliamos S., Hatzis A.,* The Assessment of Compensatory Damages for Medical Error by the Greek Courts: An Economic Analysis, The Global Economics of a Changing Environment, 2009, 247.
[297] Civil Code of Greece, Article 932.
[298] *Palmer V. V.* (ed.), The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015,108.

განსაზღვრის უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს, რისთვისაც საჭიროა საკანონმდებლო ჩანაწერი, რომელიც შესაძლებლობას მიცემს გადაწყვეტილების მიმღებს, კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით შეაფასოს საჭირო კომპენსაციის ოდენობა.

დაზარალებულისათვის კომპენსაციის დანიშვნა იმ შემთხვევაშიც დასაბუთებულია, როდესაც თანხა ფაქტობრივად ზიანზე ნაკლებია. მორალურ ზიანთან მიმართებით მსგავსი პრობლემა მუდმივად იქნება, რაც არ უნდა გახდეს კომპენსაციის დანიშვნის დამაბრკოლებელი გარემოება და მიუხედავად განსაზღვრის სირთულისა, უნდა მოხდეს ფაქტობრივ გარემოებებთან მაქსიმალურად შესაფერისი თანხის დაკისრება.

5. მტკიცების ტვირთის გადანაწილება საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისას

ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა კი განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. შესაბამისად სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.[299]

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,[300] პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია მცდარი სამედიცინო ქმედებით. მოყვანილი სპეციალური ნორმები მოთხოვნის მატერიალურ საფუძველს ქმნიან ზიანის ანაზღაურების საკითხში. თუმცა იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება,

[299] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-155-145-2017.

[300] საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

საჭიროა არსებობდეს რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებები.[301] აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან.

მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს მისთვის ხელსაყრელ გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მოდავე მხარეებს შორის სწორი გადანაწილება.[302] მტკიცების ტვირთის გადანაწილება უდავოდ მნიშვნელოვანია საექიმო შეცდომის შედეგად წარმოშობილ დავებში, რადგან სწორედ ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებით ხდება კომპენსაციის მოთხოვნის დასაბუთება და შემდგომ დაკმაყოფილება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ნაწილდება მათ შორის.[303] საყურადღებოა მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის ცვალებადობის შესაძლებლობა საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანისას. სამეცნიერო დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის არსებული წინააღმდეგობა, როგორც წესი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება.[304]

მტკიცების ტვირთი სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის მხარეებზე დაკისრებაა, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი მოვალეობის საბოლოო მიზანი სასამართლოს დარწმუნებაა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე

---

[301] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №1124-1044-2017.

[302] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-96-2019.

[303] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 196.

[304] *თოდუა მ., ვილემსი ჰ.,* ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 49.

გარემოებების არსებობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არსებობს მათთვის არახელსაყრელი შედეგს დადგომის შესაძლებლობა.[305] საექიმო შეცდომასთან მიმართებით რელევანტურია ობიექტურად შესაძლებელი მტკიცებულებების მოძიებისა და ფაქტების დადასტურების შესაძლებლობა, რადგან სამოქალაქო დავისას, მხარემ უნდა წარმოადგინოს ის მტკიცებულებები, რომელიც დამაჯერებელს გახდის მის პოზიციას.[306]

მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან, მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე, რაც მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს, უკვე სასამართლოს შეფასების საგანია.[307] საყურადღებოა, რომ მხოლოდ ზოგადი მოსაზრებების გამოთქმა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე არ არის მტკიცების ტვირთის შესრულება, რადგან აუცილებელია, რომ მხარეებმა ფაქტები და ახსნა-განმარტებები დაასაბუთონ, რაც გულისხმობს რელევანტური მტკიცებულებებით დადასტურებას. ამასთან, მხარემ უნდა ამტკიცოს ისეთი ფაქტები, რომელიც ხელსაყრელია და მისთვის ობიექტურად არსებობს მისი დამტკიცების შესაძლებლობა.[308]

საექიმო შეცდომით მიყენებული ზიანთან დაკავშირებულ დავებზე მტკიცების ტვირთის სპეციალურ სტანდარტს გვთავაზობს სსკ, რასთან დაკავშირებითაც არსებობს არერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და დასახელებული სტანდარტი სხვადასხვაგვარად არის განმარტებული რიგ შემთხვევებში. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, კონკრეტულად რა ფაქტების მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს დაზარალებულს.

---

[305] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-155-145-2017.

[306] *Lewis M. A., Tamparo C. D.,* Medical Law Ethics & Bioethics for the health professions, 6 Edition, Philadelphia, 2007, 48.

[307] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-155-145-2017.

[308] *ჰერმანი თ.,* მტკიცებულებით სამართალი, კონსპექტი, *ჩაჩანიძე ე., (*თარგმანი) თბილისი, 2016, 12.

სსკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გამწევს გააჩნია ბრალეულობის პრეზუმფცია, რაც მტკიცების ტვირთის მასზე გადასვლას უზრუნველყოფს, თუმცა აღნიშნული უარყოფილია სასამართლო გადაწყვეტილებებში. სსკ-ის 1007-ე მუხლი არათუ ეწინააღმდეგება სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ წესს, არამედ მიუთითებს, განსაზღვრავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს.[309] მხარეთა მიერ დასამტკიცებელი ფაქტების განსაზღვრა სწორედ მატერიალური ნორმების მეშვეობით ხდება,[310] რაც გამორიცხავს საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის წინააღმდეგობას.[311]

მტკიცების ტვირთის გადანაწილებას საექიმო შეცდომით მიყენებული მორალური ზიანის საკითხებთან მიმართებით გააჩნია საპროცესო და მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობა. მტკიცების ტვირთის ზიანის მიმყენებელზე გადასვლით ჩნდება გარკვეული რისკი, რაც გულისხმობს, რომ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას მხარისათვის უარყოფითი და არახელსაყრელი შედეგი გარანტირებულია, რადგან მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. ხოლო მატერიალური მნიშვნელობით, ფაქტი კონკრეტულ პროცესთან მიმართებაში მოცემულად ჩაითვლება, როცა ობიექტურად ვერ მოხერხდა ამ გარემოების დადგენა.[312]

სსსკ-ის 102-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით დაზარალებული პირი ვალდებულია დაამტკიცოს, როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ხოლო მტკიცების ტვირთის შებრუნების გათვალისწინებით, დამრღვევის ბრალი დამტკიცებულად ითვლება ამ უკანასკნელის მიერ საპირისპიროს დამტკიცებამდე. მართალია, სსკ-ის 992-ე მუხლი მტკიცების ტვირთის შებრუნებას არ ითვალისწინებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დელიქტურ სამართალში სასამართლო პრაქტიკით ცალკეულ შემთხვევებში დამკვიდრებულია მტკიცების ტვირთის ზიანის მიმყენებლზე

---

[309] *თამაზაშვილი ნ.,* ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა - პაციენტის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2013, 134.

[310] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 196.

[311] *თამაზაშვილი ნ.,* ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა - პაციენტის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2013, 134.

[312] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-111-111-2018.

გადასვლა. მსგავს შემთხვევებში კი მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად ნაწილდება, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები,[313] აღნიშნული კი რელევანტურია სწორედ საექიმო შეცდომით დამდგარი ზიანის განხილვის საქმეებში.

სსკ-ის 1007-ე მუხლი წარმოადგენს დელიქტური სამართლის ნაწილს, რომელიც, როგორც სამოქალაქო სამართალდარღვევა, წარმოშობს გარკვეული სახის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, დელიქტურ პასუხისმგებლობას. დელიქტური პასუხისმგებლობა გულისხმობს კანონით განსაზღვრული ქონებრივი ხასიათის ზომების იძულებით გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელმაც მიაყენა ზიანი სხვა პირის მატერიალურ ან არამატერიალურ სიკეთეს. ამ პასუხისმგებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იკვეთება არსობრივად შეფარდებით სამართალურთიერთობა. კერძოდ, დგინდება პირის ვალდებულება, რაც მიმართულია აბსოლუტური სამართალურთიერთობის დაცვისაკენ.[314]

მორალური ზიანის განმარტებისათვის უპირველესად უნდა დადასტურდეს კანონით დაცული სავარაუდო ხელყოფის ფაქტი, ბრალი, დამდგარი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და კანონით დაცული სიკეთის ხელყოფისათვის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის. დაზარალებულის სოციალური მდგომარეობიდან და მის გამოცდილებიდან გამომდინარე სამართლიანი არ იქნება ამ ფაქტების მტკიცების ტვირთის მასზე დაკისრება.[315]

საექიმო შეცდომით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გადანაწილდეს, რომ მოდავე მხარეებს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია.[316] კერძოდ, უსამართლობა იქნება, პაციენტს მოეთხოვოს სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული საკითხების მტკიცება, რადგან მას რეალურად არ გააჩნია შესაბამისი განათლება და გამოცდილება. მსგავსი ტიპის

---

[313] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმე №ას-1477-1393-2012.

[314] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-155-145-2017.

[315] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისი გადაწყვეტილება საქმე №-111-111-2018.

[316] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმე №-ას-260-244-2014.

რისკი კი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას დააყენებს ეჭვქვეშ, რაც დამატებითი ზეწოლა იქნება მის დარღვეულ უფლებებზე და საპროცესოსამართლებრივ გარანტიებზე.

საექიმო შეცდომით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებულ დავებში პაციენტს (მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს) მტკიცების ტვირთი ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენის ნაწილში, აგრეთვე იმის დადასტურების, რომ ადგილი ჰქონდა საექიმო შეცდომას. თუ მოდავე მხარის განმარტებები არ დადასტურდება სარწმუნო მტკიცებულებებით, მაშინ საექიმო შეცდომა მოდავე მხარის მოთხოვნის სასარგებლოდ არ დამტკიცდება. ასევე, მოდავე მხარემ უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების ვალდებულების დარღვევას.[317] სამოქალაქოსამართლებირივი პასუხისმგებლობის საფუძვლად სამოქალაქო უფლების დარღვევა მიიჩნევა. ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა.[318]

საექიმო შეცდომის შედეგად დამდგარი მორალური ზიანის შეფასებისას დაზარალებულის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ასეთი ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.[319]

მორალური ზიანის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. აღნიშნული ნიშნავს ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკური და სულიერი ტანჯვის განცდაში. ამ გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს ფაქტების ხასიათიდან გამომდინარე, თუმცა მან უნდა მიუთითოს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის

---

[317] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისი გადაწყვეტილება საქმე №-111-111-2018.

[318] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-155-145-2017.

[319] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისი გადაწყვეტილება საქმე №-111-111-2018.

შესახებ მისი ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში.[320] დასახელებული გარემოებების დადასტურება დაზარალებულის მხარის ვალდებულებაა, რადგან ლოგიკურიცაა, რომ მისი სიკეთის შესახებ ინფორმაცია თავად დაზარალებულს ექნება და არა სამედიცინო დაწესებულებას ან ქმედების ჩამდენ პირს. დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება დაცული სიკეთის ხელყოფისათვის, თუმცა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შედეგის დადგომა, კერძოდ, ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერი ტანჯვის, ფსიქიკური სტრესის სახით, რომლის დამტკიცების ვალდებულებაც რაციონალურია, რომ დაზარალებულს აკისრია.[321] ამასთან მიმართებით საყურადღებოა ბელგიის კანონმდებლობის მიდგომა, რომელიც სხვა ქვეყნების მსგავსად, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს საფუძვლად ზიანის არსებობას განიხილავს და სავალდებულოს ხდის ზიანის კონსტრუქციის დადასტურებას.[322]

მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს, მაგრამ თავდაპირველად მოდავე მხარეს ეკისრება დელიქტური ქმედების შემადგენლობის მტკიცების ტვირთი, ხოლო, მას შემდეგ, რაც თავს გაართმევს დასახელებულ საპროცესო ვალდებულებას, ზიანის მიმყენებლზე გადადის იმისი მტკიცება, რომ მისი ქმედება იყო მართლზომიერი, ან შედეგი არ არის ამ ქმედებით განპირობებული.[323]

საექიმო შეცდომის ჩამდენი პირის პასუხისმგებლობისათვის გადამწყვეტია მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაცია. კერძოდ, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა, რაც მოიცავს არამარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც.[324]

საზოგადოდ, საექიმო შეცდომის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებში მოდავე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, თუკი

---

[320] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 მარტი გადაწყვეტილება საქმე №-ას-912-874-2014.

[321] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისი გადაწყვეტილება საქმე №-111-111-2018.

[322] *Cousy H., Droshout D.,* Belgium, Non-Pecuniary Loss under Belgian Law, Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Rogers W. V. H. (ed.), Wien, 2001, 33.

[323] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 25 იანვარის გადაწყვეტილება საქმე №ას-477-477-2018.

[324] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №1124-1044-2017.

მიყენებული შედეგი გამოწვეულია საექიმო შეცდომით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ხოლო ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო მომსახურების გამწევის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს, რადგან უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული გარკვეული შეცდომით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.[325] აღნიშნულ ნაწილში კი მტკიცების ტვირთი გადადის სამედიცინო მომსახურების გამწევ სუბიექტზე.

მართლწინააღმდეგობის განსაზღვისას გამოსაკვლევია დაზარალებულის თანხმობა, რისი მტკიცების ტვირთიც საექიმო მომსახურების გამწევს უნდა დაეკისროს. პაციენტის თანხმობა, ამ თვალსაზრისის მიხედვით, არა მარტო ასაბუთებს სამედიცინო მომსახურების მართლზომიერებას, არამედ ადგენს მისი თავისუფლების ფარგლებს.[326]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საექიმო შეცდომის მიმყენებელი პირის მიმართ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, რაც სსკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვითაა დადგენილი. სამედიცინო მომსახურების გამწევი პირისადმი ბრალეულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ზიანის მიმყენებელმა თავად უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანი არ გამომდინარეობდა მისი ქმედებიდან და არ არის მასთან მიზეზობრივ კავშირში. შესაბამისად, დაზარალებული მხარე თავსუფლდება სამედიცინო მომსახურების გამწევი პირის ბრალეულობის მტკიცების ტვირთისაგან.[327] აზრთა სხვადასხვაობაა ბრალეულობის პრინციპთან დაკავშირებით, რადგან იურიდიულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ საექიმო შეცდომის ჩამდენი პირის მიმართ არ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია,[328] რაც არ შეესაბამება დღევანდელ საკანონმდებლო ჩანაწერს. ის ფაქტი, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევმა უნდა გამორიცხოს ზიანის დადგომაში მისი ბრალეულობა, ცალსახად ადგენს მოვალის ბრალეულობის

---

[325] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №260-244-11.

[326] *გამყრელიძე ო.,* სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი, 2013, 122.

[327] *ჰეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 125.

[328] *კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ.,* წიგნი პაციენტებისათვის, „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“, გზამკვლევი, თბილისი, 2011, 118.

პრეზუმფციას.[329] დელიქტური ვალდებულების და კონკრეტულად სამედიცინო მომსახურების გამწევის ქმედებებისადმი გამართლებულია ბრალეულობის პრეზუმფციაზე დაყრდნობით მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადასვლა, რაც ნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევმა უნდა დაადასტუროს არაბრალეულობა. დასახელებული სტანდარტი უფრო გონივრულია, რადგან სამედიცინო დაწესებულება და სამედიცინო მომსახურების შემსრულებელი ყოველთვის უფრო მეტად ინფორმირებულია საექიმო შეცდომის სპეციფიკურ დეტალებთან დაკავშირებით ვიდრე დაზარალებული.

სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე გამართლებულია დაზარალებულისათვის სასამართლოში საქმის წარმოების შემსუბუქების მიზნით მტკიცების ტვირთის სტანდარტის ცვლილება. დაზარალებულისათვის სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალის დადასტურება საკმაოდ რთულია, შესაბამისად ამ ნაწილში გამართლებულია დოქტრინა, რომელიც მტკიცების სტანდარტს დაზარალებულის სასარგებლოდ ცვლის.[330]

სამედიცინო მომსახურების შემსრულებელს აკისრია იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა. პასუხისმგებლობა დგება არასწორი მკურნალობისათვის და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. ამდენად, სამედიცინო მომსახურების შემსრულებელის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა.[331] შესაბამისად, ამ ნაწილში მტკიცების ტვირთის მასზე დაკისრება გამართლებულია და მოიცავს სამედიცინო მომსახურების შემსრულებლის ვალდებულებას, რომ დაადასტუროს მის მიერ ჩადენილი ქმედებების მართლზომიერება, პაციენტისათვის, მისი დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის მართებული ქმედებების ჩატარება.[332] სსკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია სამედიცინო მომსახურების გამწევ პირს,

---

[329] *ჰეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 126.

[330] *ჰეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 127-128.

[331] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-268-1526-09.

[332] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმე №ას-714-677-2013.

კერძოდ, მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგად არ დამდგარა. დასახელებული ნორმის დეფინიციის მიხედვით, ცალსახადაა განსაზღვრული, რომ „არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს, პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებამ უნდა განახორციელოს.“[333]

სსკ-ის 1007-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე ცალსახაა, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევის მიმართ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია. ბრალეულობის პრეზუმფციის ფარგლებში ივარაუდება, რომ საექიმო შეცდომის ჩამდენი ბრალეულად მიიჩნევა, ვიდრე თავად არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს.[334]

სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასა და განცდილ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, შესაბამისად, ზიანის მიმყენებლისათვის ზიანი ობიექტურად შერაცხადი უნდა იყოს.[335]

ხშირია შემთხვევები, როდესაც მიზეზობრივი კავშირის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან პაციენტისათვის მიყენებული ზიანი ყოველთვის საექიმო შეცდომის შედეგად არ დგება. საექიმო შეცდომის შედეგად წარმოშობილი ზიანისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა ძირითადად საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ხდება, თუმცა, მიზეზობრივი კავშირის დასადგენად სასამართლო ვალდებულია შეაფასოს ყველა ის მიზეზი, რამაც გამოიწვია პაციენტისათვის არასასურველი შედეგი და მათი კავშირი წარმოშობილ ზიანთან.[336]

მოყვანილი განმარტებების და მიზნების საფუძველზე ცალსახაა, რომ მიზანშეწონილია მტკიცების სტანდარტის მსგავსად გადანაწილება, რადგან

---

[333] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისი გადაწყვეტილება საქმე №ას-260-244-2014.

[334] *პეპანაშვილი ნ.,* სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სამართლის ჟურნალი, №2, 2016, 129.

[335] *მარიამიძე გ.,* დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სკ) 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, I გამოცემა, თბილისი, 2011, 66.

[336] *კვანტალიანი ნ.,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლერბრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, 177-178.

დაცული იქნება მხარეთა საპროცესო უფლებები და თითოეულ მათგანს მოუწევს იმ ფაქტების მტკიცება რისი რეალური შესაძლებლობაც გააჩნია. ამასთან, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილებით დაცულია როგორც დაზარალებულის, ასევე ზიანის მიმყენებლის საპროცესო უფლებები და მათზე არ არის იმგვარი სტანდარტი დაკისრებული, რაც აღემატება მათ რეალურ შესაძლებლობებს. მართალია, საექიმო მომსახურების გამწევის ქმედებით დაზარალებულისათვის ზიანის მიყენება ხდება, მაგრამ მისთვის ზიანის ფაქტის არსებობის შესახებ მტკიცება არასამართლიანი გადაწყვეტა იქნებოდა, რადგან ზიანის ფაქტის შესახებ მტკიცებულებებისა და ინფორმაციის მიღება თავად დაზარალებულის გავლენის სფეროშია. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით გამართლებულია მისთვის ზიანის ფაქტის არსებობის დადასტურება.

IV. დასკვნა

საექიმო შეცდომის კონცეფცია გულისხმობს სამედიცინო პერსონალის მიერ მომსახურების შესრულებისას გაწეულ ქმედებებს ან უმოქმედობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამედიცინო წესებსა და პრაქტიკას, მაგრამ პაციენტისათვის იწვევს ან ზრდის ჯანმრთელობისა და სიკვდილის რისკებს,[337] რაც თანამედროვე მედიცინის ფარგლებში კვლავ აქტუალურია. მართალია, არსებობს განსხვავებული მიდგომები ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, რადგან სამეცდიერო დოქტრინაში და პრაქტიკაში განსხვავებული ტერმინებით ხდება საექიმო შეცდომის წარმოჩენა, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამართლებული საექიმო შეცომაა. აღნიშნული სრულყოფილად მიესადაგება მის კონცეფციას და შესაძლებელს ხდის მისი არსის წვდომას.

საექიმო შეცდომა იმ ტიპის ქმედებაა, რომელიც კავშირშია სამედიცინო მეცდიერებასა და მეთოდებთან და ექიმის არასრულყოფილი გამოცდილების ან ცოდნის გამო იწვევს პაციენტის სხვადასხვაგვარ დაზიანებას. საექიმო შეცდომის იდენტიფიცირებისას უმთავრესია ექიმის მიერ გაკვერული ვალდებულებების დარღვევის საკითხის დადგენა, რაც შემდგომ წარმოშობს მოთხოვნის საფუძვლებს.

მართალია, დღესდღეობით საექიმო შეცდომები ხშირად შუქდება მედიის საშუალებით, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს ერთადერთ ეფექტურ საშუალებას.[338] ნაცვლად საექიმო შეცდომების უგულებელყოფისა, პირველ რიგში, საჭიროა სპეციალური აღრიცხვის სისტემის შექმნა, რომელიც ინდივიდუალურ შემთხვევებს გააერთიანებს და მიეწოდებათ, როგორც მომავალ ექიმებს სწავლების ეტაპზე, ასევე, ტრენინგების სახით პრაქტიკოს ექიმებსაც.[339]

სისტემური ცვლილებების ფონზე შესაძლებელია საექიმო შეცდომების შემცირების ტენდენციის მიღწევა, რაც, პირველ რიგში, გამართულ სტრუქტურას და მომსახურე პერსონალს გულისხმობს. ამასთან, აუცილებელია შესაფერისი

---

[337] *Sibilla B.,* Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011, 51.

[338] Patients' Rights in the European Union Mapping eXercise, Final Report, 2016, 70, <https://ec.europa.eu/health/sites/health/files/cross_border_care/docs/2018_mapping_patientsrights_frep_en.pdf> [31.05.2019].

[339] *Harris C. T., Peeples R.,* Medical Errors, Medical Malpractice and Death Cases in North Carolina: The Impact of Demographic and Systems Cariables, 12, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2469959> [29.05.2019].

განათლებისა და უნარების მქონე ჯგუფის შექმნა, რომელიც დაუყოვნებლივ მოახდენს რეაირებას საექიმო შეცდომებზე, რაც დაზარალებულ გაუადვილებს მტკიცების ტვირთით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას და დავის ეტაპზე არ წარმოეშვება დამატებითი მტკიცებულებების არქონით გამოწვეული სირთულეები.

სპეციალური სააღრიცხვო სისტემის შემოღების ფარგლებში დამატებით რეკომენდირებულია გავრცელებული საექიმო შეცდომების განსაზღვრა და მათი სპეციფიკის განმარტება, ასევე, სამედიცინო მომსახურების გამწვეთათვის დადგინილი მტკიცების ტვირთის შესაბამისად, გამოვლინდეს კონკრეტული საკითხები, რომელთა დასაბუთება და დადასტურებაც მათი მოვალეობა იქნება. აღნიშნული, შეამსუბუქებს მხარეთა მიდგომას და პასუხისმგებლობას გაზრდის სამედიცინო პერსონალში.

საექიმო შეცდომის არსის დადგენისად, უპირველესად, მნიშვნელოვანია კონკრეტული ქმედების გამოკვლევა და მისი კვალიფიკაცია, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შედეგებზე დროულ რეაგირებას და მათ პრევენციას.

საექიმო შეცდომის არსის განსაზღვრასთან ერთად, გადამწყვეტია პაციენტისა და საექიმო მომსახურების გამწევი სუბიექტების დადგენა. პაციენტის განსაზღვრებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ და საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ არსებითად განსხვავებულ დეფინიციას ადგენს, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების საფუძველია. შესაბამისად, აუცილებელია დასახელებულ კანონებში პაციენტის დეფინიციის თანხვედრაში მოყვანა. თუმცა, არსებულ პირობებში, პაციენტად უნდა მივიჩნიოთ პირი, რომელიც სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით ან აპირებს ისარგებლოს ამ მომსახურებით და გააჩნია გარკვეული კავშირი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ სუბიექტთან.

საექიმო მომსახურების გამწევ სუბიექტად ნებისმიერი პირის განსაზღვრა არ არის მართებული. იდენტიფიცირება უნდა მოხდეს სამედიცინო საქმიანობისა შესაბამისი წესით გაწევისა და პრაქტიკული და თეორიული კვალიფიკაციის სტანდარტის დადგენით.

საექიმო შეცდომის შედეგად პაციენტმა შესაძლოა განიცადოს, როგორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი. ზიანის ანაზღაურების საკითხი

განსხვავებულია ქონებრივი ან არაქონებრივი გამოხატულების მიხედვით. მეტად პრობლემურია არაქონებრივ სიკეთეთა ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხები.[340] იმის გათვალისწინებით, რომ მორალური ზიანის დეფინიცია კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პრობლემურია მისი დადგენისა და ანაზღაურების საკითხიც.

მორალური ზიანის განსაზღვრისას გადამწყვეტია პირის არაქონებრივი სიკეთეების ხელოფის დადგენა, რაც ძირითადად უკავშირდება უარყოფით ფსიქიკურ განცდებსა და სულიერ ტანჯვას, რომელიც არ ეხება მატერიალურ სიკეთეს.

მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, რაც კომპენსირების საკითხს ერთ-ერთ საკამათო საკითხად აქცევს. მართალია, მორალური ზიანი თვალით უხილავია და მისი კონკრეტულ მატერიალურ განსაზღვრებაში ასახვა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ დაზარალებულისათვის სიტუაციის გაუმჯობესებისა და პრევენციის საფუძვლით მისი ანაზღაურების უფლება უპიორობოდ უნდა არსებობდეს.

სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი შედეგობრივად მრავალფეროვანია, რაც შესაძლოა გამოიხატოს, როგორც მენტალური ტანჯვა ან ფსიქიკური შეფერხება, რაც დაზარალებულის ჩვეულ ცხოვრებაზე უარყოფითად აისახება.

საექიმო შეცდომა არ წარმოშობს კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობას თუ არ არსებობს ზიანის ანაზღაურების შესაბამისი საფუძვლები. უფრო ზუსტად, სსკ-ის 1007-ე მუხლის განსაზღვრების გათვალისწნებით, ზოგადი წესის თანახმად, მოთხოვნის უფლება ენიჭება პირს, რომელსაც სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად წარმოეშვა მორალური ზიანი.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ან სხეულისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური

[340] *Palmer V. V.* (ed.), The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015, 23.

ტანჯვის გამო.[341] აღნიშნული კი წარმოადგენს ვიწრო სპეციფიკის და პირობების მქონე შემთხვევებში ანაზღაურების შესაძლებლობას.[342]

დასახელებული რეგულაციის ფარგლებში პაციენტს, თავად შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის კომპენსაცია, რაც პირველ რიგში ეფექტურია პაციენტთა უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით. მსგავს მოწესრიგებას ვხვდებით სხვა ქვეყნის კანონმდებლობებშიც, თუმცა, უმჯობესი იქნება თუ მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში პაციენტისათვის შექმნილი იქნება შედარებით მოქნილი მექანიზმი და ჩამოყალიბნება ერთიანი მოდგომა ამ ტიპის დავებთან მიმართებით.

მსგავსი რეგულაციების ფარგლებში კი ღიადაა დატოვებული სიცოცხლის უფლების დაცვის საჭიროება და მისი მიმართება მორალურ ზიანთან. იმ პირობებში, როდესაც ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ჯანმრთელობა, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს დაცვის ღირს ინტრესს და რომელიც ფაქტობრივად ქვეელემენტია სიცოცხლის უფლების, გაუგებარია, რა მიზნითა და არგუმენტაციით ხდება სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა. ცალსახაა, რომ ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევებში იკვეთება ანაზღაურების ერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც არ ხდება სიცოცხლის ხელყოფის საქმეებში. ამ საკითხთან მიმართებით, ცალსახა მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ მსგავსი უფლების კანონმდებლობით შეზღუდვა არ შეესაბამება თანამედროვე მიდგომებსა და სტანდარტებს.

მართალია, კანონმდებლის მიზანია, შეამციროს და მაქსიმალურად შეზღუდოს მორალური ზიანის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას და წესრიგს საფრთხე არ შეექმნეს,[343] მაგრამ რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილია საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება მორალური ზიანის კომპენსირების საკითხებთან მიმართებით. კერძოდ, საექიმო შემთხვევის შედეგად პაციენტის გარდაცვალება არ უნდა დარჩეს კერძოსამართლებრივი

---

[341] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმე №ას-1156-1176-2011.

[342] *Palmer V. V.* (ed.), The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015, 23.

[343] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე №ას-1185-1105-2017.

პასუხისმგებლობის მიღმა, რისთვისაც საჭიროა, როგორც შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა, ასევე, ჯანდაცვის სფეროს სისტემური ცვლილებები.

ყოველივე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მართებული იქნება თუ სსკ-ის 413-ე მუხლი არ იქნება numerus clausus პრინციპით და შესაძლებელი იქნება მორალურ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოს უფლებამოსილებების გაფართოება. თუმცა, მსგავსი მიდგომის მიუხედავად, სიცოცხლის უფლება მისი არსებითი ხასიათიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში იმსახურებს მორალური ზიანის ამნაზღაურებელ ნორმებში დაფიქსირებას. ასეთ შეთხვევაში, გამოირიცხება სასამართლოს პრივილეგია პაციენტის გარდაცვალებისას კომპენსაციის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ და სასამართლო გადაწყვეტილებები მიიღებს შედარებით ერთგვაროვან სახეს.

საექიმო შეცდომების შემცირების ტენდენციისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მსგავსი რეგულაციის ცალსახად არსებობა, ამასთან, ფინანსური თვალსაზრისით სამედიცინო მომსახურების გამწევისათვის პაციენტის გარდაცვალება არ უნდა იყოს მომგებიანი ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

მსგავსი რეგულაციის არსებობის პირობებში აუცილებელია პაციენტის გარდაცვლებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტთა წრის განსაზღვრაც. ხსნენებულ საკითხთან მიმართებით, შესაძლებელია პაციენტის ნათესავის დეფინიციით სარგებლობა ან დამატებითი დეფინიციის შექმნა, რათა ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა გაუმართლებლად არ გაფართოვდეს. ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტებთან დაკავშირებით რელევანტურ კომპენსაციის დაზარალებულებზე გადანაწილების მოცულობაც, რადგან რამდენიმე დაზარალებულის შემთხვევაში ნაკლები ალბათობაა იმისა, რომ ყველა მათგანს ერთი და იმავე მოცულობით განეცადა ტანჯვა. საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება თუ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სასამართლოს მიენიჭება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებზე დარყდნობით.

საექიმო შეცდომის შედეგად გამოწყეული მორალური ზიანის კომპენსაციას გააჩნია დამსჯელობითი ფუნქცია, რომელიც დაზარალებულს გარკვეულწილად უმსუბუქებს განცდებს და ახდენს მსგავსი ქმედებების პრევენციას. კომპენსაციის განსაზღვისას სასამართლომ გონივრუობისა და სამართლიანობს კრიტერიუმის

გარდა უნდა შეაფასოს საექიმო შეცდომის ხარისხი და დამდაგარი შედეგის სიმძაფრე, რაც ამოსავალი წერტილია ფულადი ეკვივალენტის დადგენისათვის.

საექიმო შეცდომის ანაზღაურების მოთხოვნა ინტერდისციპლინური საკითხია, რაც განსხვავებული მტკიცების ტვირთის დადგენას საჭიროებს. უფრო ზუსტად, საჭიროა პრაქტიკით ცალსახად დადგინდეს, რომ დაზარალებულის მტკიცების ტვირთი ვრცელდება დამდგარი შედეგის წარმოჩენაში, ხოლო ზიანის მიმყენებელი ვალდებულია ადასტუროს არაბრალეულობა. მტკიცების ტვირთს გადანაწილებისას პრობლემურია მიზეზობრივი კავშირის საკითხი, რადგან აღნიშნული მყარ რეგულაციას ვერ დაექვემდებარება და კონკრეტული ფაქტორბივი გარემოებების გათვალისწინებით მოხდება მისი მხარეთათვის დაკისრება. აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია თუ რომელ მხარეეს შეეძლება კონკრეტული გარემოების დადასტურება.

იმის გათვალისწინებით, რომ საექიმო შეცდომის შედეგად წარმოშობილი მორალური ზიანის კომპენსაცია სოციალური უსაფრთხოების სტანდარტია, მორალური ზიანის კომპენსირებისას სასამართლომ თავად უნდა ამოავსოს კანონმდებლობის ხარვეზი და დასაბუთებული აუცილებლობა, როგორიცაა შეცდომით გამოწვეული ზიანი. შესაბამისად, საჭიროა მინიმუმ სასამართლო გადაწყვეტილებების დონეზე შეიქმნას მორალური ზიანის ანაზღაურების ახალი პრეცედენტები.[344]

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საჭიროა სსკ-ის 413-ე მუხლში სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევის დამატება და ნორმის საფუძველზე სასამართლოსთვის დამატებით სხვა შემთხვევებში ლავირების შესაძლებლობის მიცემა.

[344] *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 471.

ბიბლიოგრაფია

1. გამოყენებული საკანონმდებლო აქტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

Civil Code of Portugal

Civil Code of Greece

2. გამოყენებული ლიტერატურა

2.1. ქართულენოვანი ლიტერატურა

ახვლედიანი ზურაბ	ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999.
ბათლიძე გიორგი	ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხივლა, IV გამოცემა, 2015.
ბარაბაძე ნინო	მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2005.
ბარაბაძე ნინო	მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 2004.
ბარაბაძე ნინო	სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი,

	მართლმსაჯულება და კანონი, №4(31), 2011.
ბიჭია მიხეილ	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2016.
ბიჭია მიხეილ	პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, 2012.
ბიჭია მიხეილ	გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, №8, 2017.
გამყრელიძე ოთარ	სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი, 2013.
გეგელაშვილი გიორგი	პაციენტთა უსაფრთხოება და სამედიცინო დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებები, შუალედური ანგარიში, თბილისი, 2012.
დოღონაძე ლევან	არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი, 2(10), 2010.
თამაზაშვილი ნათია	ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა - პაციენტის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2013.
თოდუა მზია	ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006.
ვილემსი ჰუუბ	

თოფჩიშვილი მარინე	მორალური ზიანის ანაზღაურება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1999.
კერესელიძე დავით	კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.
კვანტალიანი ნუნუ	პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლერბრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014.
კვაჭაძე მარინა მანჯავიძე ირმა კვანტალიანი ნუნუ მირზიკაშვილი ნინო გენეტაძე ნინო აზაურაშვილი გივი	წიგნი პაციენტებისათვის, „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“, გზამკვლევი, თბილისი, 2011.
კროპჰოლერი იან	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (თარგმანი), თბილისი, 2014.
ლილუაშვილი თენგიზ ხრუსტალი ვალერი	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004.
მარიამიძე გიორგი	დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სკ) 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა

	გათვალისწინებით, I გამოცემა, თბილისი, 2011.
ნინიძე თევდორე	მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალში „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978.
პეპანაშვილი ნინო	სამედიცინო დაწესებულების მიერ ზიანის ანაზღაურება, წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2016.
პეპანაშვილი ნინო	სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, სამართლის ჟურნალი, №2, 2016.
რცხილაძე გრიგოლ	მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928.
ტარტარაშვილი ნათია	არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, მართლმსაჯულება და კანონი, №1(61), 2019.
ქათამაძე ნინო	არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, სამართალი და მსოფლიო, №9, 2018.
ქოჩაშვილი ქეთევან	ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, №1, 2009.
ძლიერიშვილი ზურაბ	სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014.
ცერცვაძე გიორგი	

რობაქიძე ირაკლი სვანაძე გიორგი ცერცვაძე ლაშა ჯანაშია ლევან შენგელია რომან შენგელია ეკატერინე	საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2015.
ჩიკვაშვილი შალვა	მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისთვის, სამართალი, №1-2, 2004.
ჩიკვაშვილი შალვა	მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998.
ჭანტურია ლადო	პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12, 1997.
ჭანტურია ლადო ზოიძე ბესარიონ ნინიძე თევდორე შენგელია რომან ხეცურიანი ჯონი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001.
ჭანტურია ლადო ზოიძე ბესარიონ ნინიძე თევდორე შენგელია რომან	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001.

ხეცურიანი ჯონი

ჰერმანი თომას — მტკიცებულებით სამართალი, კონსპექტი, ჩაჩანიძე ე. (თარგმანი), თბილისი, 2016.

2.2. უცხოენოვანი ლიტერატურა

Andoh Benjamin — Damages for Non-pecuniary Loss Re-visited, Business Law Review, Vol. 33, Issue 7, 2012.

Aquino B. Timoteo — Torts and Damages, Second Edition, Manila, 2005.

Bączyk-Rozwadowska Kinga — Civil Liability for Medical Malpractice. Damage Resulting from Doctor's Negligence (Breach of Professional Duties), Premat Cardio, Vol. 5, Issue 4, 2015.

Banakas Stathis — Non-Pecuniary Loss in Personal Injury: Topography Architecture and Nomenclature in the European Landscape, Journal of Comparative Law, Vol. 10, Issue 2, 2015.

Barmes Lizzie — Law Reform at the Intersection: Non-pecuniary Loss for Personal Injury, the Law Commission and Judicial Process, Common Law World Review, Vol. 31, Issue 3, 2002.

Blum D. John — Feng shui and the restructuring of the hospital corporation: a call for change in the face of the medical error epidemic, Health Matrix, Vol. 14, Issue 5, 2004.

Brand Oliver — Das Neue Schadenrecht, Examenswissen zum neuen Schuldrecht, Schwab M., Heinz W. C. (Red.), 2. Auflage, München, 2003.

Brannan Sophie
Chrispin Eleanor
Davies Martin
English Veronica
Mussell Rebecca
Sheather Julian
Sommerville Ann
Medical Ethics Today The BMA's handbook of ethics and law, Third edition, London, 2012.

Brox Hans
Walker Wolf-Dietrich
Allgemeiner Teil des BGB, 32. Auflage, München, 2008.

Cohen Nili
McKendrick Ewan (eds.)
Comparative Remedies for Breach of Contract, Oregon, 2005.

Corbett Angus
Regulating Compensation or Injuries Associated with Medical Error, Sydney Law Review, Vol. 28, Issue 2, 2006.

Cooke John
Law of Tort, Fifth Edition, London, 2001.

Dauti Arta
Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, Acta Universitatis Danubius, Vol. 13, Issue 3, 2017.

Deber B. Raisa
Kraetschmer Nancy
Urowitz Sara
Sharpe Natasha
Patient, consumer, client, or customer: what do people want to be called?, Health Expectation, An International Journal of Public Participation in Health Care and Health Policy, Vol. 8, Issue 4, 2005.

Devereux John
Medical Law, Second Edition, London, 2002.

Dickens M. Bernard — Medical errors: legal and ethical responses, International Journal of Gynecology and Obstetrics, Vol. 81, Issue 4, 2003.

Erman Walter — Handkommentar zum Bürgelichen Gesetzbuch, I Band, 6. Auflage, Münster, 1975.

Faure G. Michael — Compensation of Non-Pecuniary Loss: An Economic Perspective, European Tort Law, Frankfurt am Main, 2000.

Faure Michael (ed.) — Tort Law and Economics, Encyclopedia of Law and Economics, Second Edition, Vol. 1, Massachusetts, 2009.

Flight Myrtle — Law, Liability & Ethics for Medical Office Professionals, Fifth Edition, Massachusetts, 2011.

Fremgen F. Bonnie — Medical Law and Ethics, 5th Edition, Michigan, 2012.

Furrow R. Barry — Iatrogenesis and Medical Error: The Case for Medical Malpractice Litigation, Law, Medicine & Health Care, Vol. 9, Issue 5, 1981.

Glendhill C. Malcolm — Assessment of Damages for Loss of 'Amenities' of Life: Wise v Kaye and Another, Sydney Law Review, Vol. 13, Issue 4(2), 1963.

Gusmano K. Michael
Maschke J. Karen
Solomon Z. Mildred — Patient-Centered Care, Yes; Patients As Consumers, No, Health Affairs, Vol. 38, Issue 3, 2019.

Halson Roger — The Recovery of Damages for Non-Pecuniary Loss in the United Kingdom; A Critique and Proposal for a New Structure Integrating Recovery in Contract and Tort, Chinese

Journal of Comparative Law, Vol. 3, Issue 2, 2015.

Handford R. Peter — Moral Damage in Germany, International and Comparative Law Quarterly, Vol 27, Issue 4, 1978.

Hütte Felix — Schuldrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, Bremen, 2005.

Helbron Marlena

Jackson M. Rupert — Professional Negligence, Fourth Edition, London, 1997.

Powell L. John (eds.)

Jackson Emily — Medical Law, Text, Cases, and Materials, Fourth Edition, Oxford, 2016.

Joussen Jacob — Schuldrecht I, Allgemeiner Teil, Jena, 2008.

Kapp B. Marshall — Medical Error Versus Malpractice, DePaul Journal of Health Care Law, Vol. 1, Issue 4, 1997.

Kionka J. Edward — Torts, Second Edition, Minnesota, 1993.

Krause H. Joan — Medical Error as False Claim, American Journal of Law and Medicine, Vol. 27, Issue 2-3, 2001.

Larenz Karl — Lehrbuch des Schuldrechts, Ersten Band, Allgemeiner Teil, 13. Auflage, München, 1982.

Leflar B. Robert — Medical error as reportable event, as tort, as crime: a tranpacific comparision, Widener Law Review, Vol. 12, Issue 189, 2005.

Iwata Futoshi

Lewis A. Marcia — Medical Law Ethics & Bioethics for the health professions, 6 edition, Philadelphia, 2007.

Tamparo D. Carol

Looschelders Dirk — Schuldrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, München, 2008.

Minow Martha — Who's the Patient, Gusmano, Vol. 53, Issue 4, 1994.

Micallef-Grimaud Claude — Article 1045 of the Maltese Civil Code: Is Compensation for Moral Damage Compatible Therewith?, Journal of Civil Law Studies, Vol. 4, Issue 2, 2011.

Mullany Nicolas — A New Approach to Compensation for Non-Pecuniary Loss in Australia, Melbourne University Law Review, Vol. 17, Issue 4, 1990.

Outerbridge Tim — Building Systemic Models for Medical Error Reporting, Health Law Journal, Vol. 12, 2004.

Palandt Otto (Bearbeiter) — Bürgerliches Gesetzbuch, Band 7, 65. Auflage, München, 2006.

Palmer V. Veron (ed.) — The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015.

Popovici Virgil-Ion — Contribution to the Study of Moral Damage and Its Repair in Romanian Civil Law, Annals of the Constantin Brancusi University of Targu Jiu Juridical Sciences Series, Vol. 2015, Issue 1, 2015.

Prütting Hanns — BGB Kommentar, 1. Auflage Köln, 2006.

Wegen Gerhard

Weinrich Gerd

Richardson Lorna — Uneasy on the Eye: Determining the Basis for Contractual Damages including Non-Pecuniary Loss, The Edinburgh Law Review, Vol. 22, Issue 2, 2018.

Ries M. Nola — Health professionals and the organization of healthcare Current trends, Routledge Handbook of Medical Law and Ethics, Joly Y., Knoppers B. M., (eds.) London, 2015.

Rogers W. V. Horton (ed.) — Tort and Insurance Law, Vol. 2, Damages for Non-Pecuniary Loss in a Comparative Perspective, Wien, 2001.

Säcker J. Franz
Rixecker Roland — Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht Allgemeiner Teil, 5. Auflage, München, 2007.

Schwartz E. Victor
Kelly Kathryn
Partlett F. David — Torts, Cases and Materials, New York, 2010.

Schwitters Rob — Non-pecuniary damages: financial incentive or symbol?, comparing an economic and sociological account of tort law, Recht der Werkelijkheid, Vol. 33, Issue 2, 2012

Sebert A. John — Punitive and Nonpecuniary Damages in Actions Based Upon Contract: Toward Achieving the Objective of Full Compensation, UCLA Law Review, Vol. 33, Issue 6, 1985.

Sibilla Buleca — Medical Error in Ukraine, Medicine and Law, Vol. 30, Issue 1, 2011.

Sharbafchi-Zadeh Nasrin
Karimi Saeed
Taleghani M. Yasamin
Vejdani Marjan — Developing an Error Reporting System for Health Centers, Patient Safety and Quality Improvement Journal, Vol. 5, Issue 4, 2017.

Sommerville Ann — Everyday Medical Ethics and Law, London, 2013.

Stolker J. J. M. Carel	The Unconscious Plaintiff: Consciousness as a Prerequisite for Compensation for Non-Pecuniary Loss, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, Issue 1, 1999.
Tavasoli H. Sodeh Farokhi Behnaz	Civil Liability of Doctor and the Medical Staff, International Journal of Scientific Engineering and Science, Vol. 2, Issue 6, 2018.
Terry P. Nicolas	An eHealth Diptych: The Impact of Privacy Regulation on Medical Error and Malpractice Litigation, American Journal of law and Medicine, Vol. 27, Issue 4, 2001.
Tettenborn Andrew	Non-Pecuniary Loss: The Right Answer, but Bad Reasoning? Journal of Obligations and Remedies, Vol. 93, Issue 2, 2003.
Visscher Louis	Time Is Money: A Law and Economics Approach to Loss of Time as Non-Pecuniary Loss, journal of european tort law, Vol. 5, Issue 1, 2014.
Vitkova Klara	Guidelines of the Czech Supreme court relating to compensation for non-pecuniary loss as a “trendsetter”? Common Law Review, Vol. 14, 2017.
Vliamos Spyros Hatzis Aristides	The Assessment of Compensatory Damages for Medical Error by the Greek Courts: An Economic Analysis, The Global Economics of a Changing Environment, 2009.
Waddams M. Stephen	Compensation for Non-Pecuniary Loss: Is There a Case for Legislative Intervention, The Canadian Bar Review, Vol. 63, Issue 4, 1985.

Walsh Peter	Medical Error, the Law and Alternative Approaches, Medico-Legal Journal, Vol. 75, Issue 2, 2007.
Weinberg K. Joanna	Medical Error and Patient Safety: Understanding Cultures in Conflict, Law & Policy, Vol. 24, Issue 2, 2002.
Westermann P. Harm	Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbbauRg, HausratsVo, LpartG, ProdHaftG, UklaG, VAHRG und WEG, 12. Auflage, Köln, 2008.
Williams Jackson	No-Fault Medical Malpractice Compensation: Policy Considerations for Design of a Demonstration Project, Washington, 2007.
Zervogianni Eleni	On the recovery of non-pecuniary loss in Greece, Revue Hellénique de Droit International, Vol. 64, Issue 1, 2011.

2.3. სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 25 იანვარის გადაწყვეტილება საქმე №ას-477-477-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-96-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1268-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე №ას-1185-1105-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-155-145-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №1124-1044-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-111-111-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №ას-593-568-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 მარტი გადაწყვეტილება საქმე №-ას-912-874-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმე №-ას-260-244-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმე №ას-714-677-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისი გადაწყვეტილება საქმე №ას-260-244-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №ას-1163-1092-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმე №ას-1477-1393-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება №ას-247-237-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმე №ას-1156-1176-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №260-244-11.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება №ას-1268-1526-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-105-545-06.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-14-1466-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმე №3კ-1218-01.

Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, Judgment Strasbourg, Application no. 58240/08, 19 July, 2018.

2.4. ელექტრონული რესურსები

ვაშაკიძე გიორგი, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 316. <http://www.gccc.ge> [06.06.2019].

კრებული, თემატურად წარმოდგენილი გერმანიის ფედერალური სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებების რეზიუმეთა ერთობლიობა.

<http://www.library.court.ge/upload/moraluri%20ziani%20asdasfda.pdf> [27.06.2019].

რუსიაშვილი გიორგი, სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 413, <http://www.gccc.ge/> [01.04.2019].

საქართველოს ექიმის ქცევის წესები, თბილისი, 2010, 52. <http://bpa.ge/book/book75.pdf> [26.04.2019].

Carnwath Justice, Burrows Andrew, Faber Diana, Harpum Charles, Silber Stephen, Damages for Personal Injury: Non-pecuniary Loss, The Law Commission, 257, 1988. <http://www.open.gov.uk/lawcomm/> [07.07.2019].

Harris Catherine, Peeples Ralph, Medical Errors, Medical Malpractice and Death Cases in North Carolina: The Impact of Demographic and Systems Cariables, 2. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2469959> [29.05.2019].

Farrell Anne-Maree, Devaney Sarah, Dar Amber, No-Fault Compensation Schemes for Medical Injury: A Review, Interim Report, 2010. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2221836> [06.04.2019].

Patients' Rights in the European Union Mapping eXercise, Final Report, 2016. <https://ec.europa.eu/health/sites/health/files/cross_border_care/docs/2018_mapping_patients rights_frep_en.pdf> [31.05.2019].